

ნაპაწიწი

საქართველო-აზერბაიჯანის
-სოციალისტური რესპუბლიკის-



-1919-

03 ლ 060 № 7

ნაკადული

საქმეაწვივე
მწვესული
მწვესული
მწვესული

წმლიწადი მთაწვი. ✦ 03 ღიწი, 1912 წ.

სამხეცოში.




— იი, სპილოს აღუბალი ვაქამოთ.
— დედიკო, დედიკო, კურკის გამოღებ დაჯაიწყდა.



ხ ა რ ჩ ე კ ი.



I —სამხეცო ში, —სურათი	1
II —* * * ლექსი —ტ ქუჩაშვილას.	3
III —კეკელოს თავგადასავალი, —(დასასრული) ვ. შადაჯი- აშვილისა	5
IV —იაკობ გოგებაშვილის ხსოვნას, — ლექსი ქრისტანე ღგუ- ბუაძისა.	14
V —ლადოს ოინები, —ზიესა სამ მოქმედებ. —(რუსულიდან გადმოკეთებული) —ტ. ლ—სა.	16
VI —ლაქვარდ პეპელას ბედნიერება, —(თარგ.) —ტ—ისა.	35
VII —ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინი, —ლეო ფონ-გრე- მერისა	44
VIII —შავი ქვა, (მარგანეტი), (დასასრული) —ნ. წყნაშვილი	52
IX —იაპონიის მეფის მუკუ-ხიტოს გადაცვალება	60
X —გასართობი: შარადა, გამოცანა, რებუსი და აღსნა.	61





(ვეძღვნა დ. თურდოსპირელს).

I.



ღტაცებული ოცნებით,
გავხედე არე-მარესა;
მივესალამე ალიონს,
ციცკარსა მოელვარესა.

ცა პირს იხსნიდა ღიმილით,
ღამე ნელ-ნელა ტყდებოდა;
აუღლებს ხუკავდნენ ვარსკვლავნი,
ნათელი მთვარე სცხრებოდა.

სამშობლო მთისა მწვერვალზე
მზე წითლად ამოდიოდა;
სატრფო მაისის ვარდივით
იფურჩქნებოდა, ღვიოდა.

ნაკვეთ-ნაკვეთი ღრუბლები
დასეირნობდნენ სერზედა;



თითქოს სხვის ბანაკს ზვერაფდნენ
 ვასალაშქრებლად მტერზედა.

II.

დილაა... დილა ლამაზი,
 კაშკაშა, ნათელ-მზიანი;
 ვით პატარძალი კეკლუცი,
 მორცხვი და თავაზიანი.

წმინდა, ანკარა წყარონი
 სოფლისკენ მოწანწყარობენ,
 მათ ნაპირებზე ყვავილნი
 ჩამწკრივებულან, ხარობენ.

ტყის პირას ნაზი ბულბული
 უსტვენს და უსტვენს ტბილიადა;
 ჰანგებით არხვეს, აღვიძებს
 არეს მივარდნილს ძილადა.

შორით ვისმენდი, ვსტკებოდი
 მისი ფანდურის წკრიალით;
 მივუხვდი, რასაც უმღერდა
 მგოსნურ ოცნების ტრფიალით.

გ. ქუჩიშვილი.





კეკელოს თავგადასავალი.

(დასასრულად):

III.



— ა ვქნათ, როგორ უნდა მოვიქცეთ ხვალ, როცა სტეფანე ფულს მოითხოვს?— ჩუმიად ჰკითხა ნატომ ლევანს მარტო დარჩენისას.

— მიწა რომ გავითხაროთ, ცოტა რამ მაინც უნდა მივცეთ, — უპასუხა გულმოსულად ლევანმა.

— თუკი გაქვს, მიეცი, — ამავე კილოთი უთხრა ცოლმა.

— რომ არა გვქონდეს, ურიის ვალი უნდა ავიღოთ და ისე უნდა მივსცეთ: სხვაფრივ შეუძლებელია.

— ეგ რათაო ვითომ? — ამრეხით ჰკითხა ნატომ.

— ჭალო, თავი მოგვეჭრება ქვეყანაში... წავე და მთელ სოფელში ხმებს დაჰყრის, რომ ივანეს სიძე ლარიბ-ლატაკი ყოფილა, უპირულიო... მამაშენიც რომ გაიგებს ამას, ხომ იცი, როგორ გუნებაზე დადგება... ერთი სიტყვით — გავიღანძლებით საქვეყნოდ.

ნატოს ერთობ დიდ საბუთად ეჩვენა ეს მოსაზრება და სიბრაზით სულ აკანკალდა.

— როგორც გენებოს, ისე გაისტუმრე!.. შენ ახლა ის ფულები გინდა გამომტყუო, მაგრამ, რომ მოკვდე, არ შეი-



ძლებდა... სული რომ ამოგხდეს, ერთი გროშის მარცხი ვარ!..

ნატო კარგა ხანია აგროვებდა წვრილ-წვრილად საზაფხულო ტანისამოსისთვის ფულებს და როგორც იქნა სამ თუმნამდე მოუყარა თავი; ახლა დღე-დღეზე უნდოდა კაბის ყიდვა და ეს გარემოება კი წამოატყდა. კარგად იცოდა, რომ ლევანს სხვაგან ფული არსად ეშოვებოდა და ამ ფულებისათვის უნდა მოეკლო; სწორედ ამისათვის იყო, რომ აგრე ცხარობდა სტეფანეს ფულის მიცემაზე. თუმც მეორე მხრივ საქვეყნოდ ვალანძლის შავი ჭირივით ეშინოდა. დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ნატომ როგორც იქნა თორმეტი მანეთის მიცემას დაჰპირდა, თან ქმარს ზევით ცისა და ქვევით შეიღებისათასჯერ დაფიცებით აღთქმა დაადებინა, რომ ჯამაგირის აღებისათანავე, რაც უნდა დასჯდომოდა, შეავსებინებდა ამ დანაკლისს და კაბას უყიდდა.

გათენდა თუ არა, ლევანმა მზრუნველობით მიიხმო სტეფანე და მიმართა:

— სტეფანე, შენ მუშა კაცი ხარ და ვიცი, რომ ამ დღეებზე სოფელში წასვლას დააპირებ.

— სტეფანეს მაინცა და მაინც არ იაშა ეს კილო და ასეთი სიტყვებიც—მასპინძელი როგორ მაგონებს წასვლასო—მაგრამ რა გაეწყობოდა, და მოკრძალებით უთხრა:

— კი, შენი ჭირივე, მეჩქარება, მუშაობის დროა.

— რასაკვირველია, აქ გაჩერება ხელს არ მოგცემს...

— დიალ, ბატონო, მოგეხსენებათ გლეხ კაცის მდგომარეობა... ერთობ მიჭირდა, შენი კვნესამე, თორემ ამ მუშაობის დროს აქ რა მინდოდა... მაგრამ ჩემმა სოღარიბემ არ დამაყენა... მარცვალი სიმიინდი არ გამაჩნია... ობოლი ბაღნები ტიტველ-შიშველი მიყრია...

— რას იზამ, ჩემო სტეფანე, ახლანდელ დროში ყველა გაჭირებული ვართ,—გააწყვეტინა სიტყვა ლევანმა და განაგრძო,—ჰო, იმის თქმა მინდოდა: მე შენთან ძალიან უკაცრა-



ვად ვარ, რომ გოგოს ნამოჯამაგირევი ამდენი ხანი გაგაჩვენებდა აქამდე უნდა მომეცა, მაგრამ ათასმა რამ შემიშალა ხელი... ახლაც ვერ გაძლევ სრულად.

უკანასკნელი სიტყვები სტეფანეს ნემსივით მოხვდა, სახეზე შეწითლდა და მისდა უნებურად ამოიღულღულა:— ჩემი გაკირება, რომ იცოდეთ, ბატონო...

— ცოტა ადრე რომ მკოდნოდა შენი მოსვლა, დაგიმზადებდი. ბევში მყავდა ავად, და იმან გამცალა...

— ჩემი დედაკაცის სული ნუ წამიწყდება, ჩემი ამბავი რომ იცოდე...

— არა უშავს რა, ჩემო სტეფანე, ღმერთია მოწყალე. ერთი თვის შემდეგ დანარჩენსაც მოგცემ... ახლა-კი ეს ერთი თუმანი მიიღე.

ამ სიტყვებით ლევანმა ქისიდან წითელი ქალაღდის ფული ამოიღო და სტეფანეს გაუწოდა.

— ბატონო, იქნებ კიდევ დამიმატო ცოტა, — შესთხოვა სტეფანემ, რომელსაც თუმნის დანახვამ ნერწყვი მოჰგვარა და თვალები გაუგანირა.

— რომ შექონდეს, ხომ იცი, არ გალაპარაკებდი, — უთხრა ლევანმა, მაგრამ ცოტა დაფიქრების შემდეგ სტეფანეს გულის მოსაგებად კიდევ გაშალა ქისა და ორი მანეთი კიდევ მიაწოდა ამ სიტყვებით:

— ბარემ ეს ორი მანეთიც წაიღე... ვითომ სახარჯოდ ვიტრუვებდი, მაგრამ შენი ხატრისათვის გავიჭირებ...

სტეფანემ სიჩქარით გამოართვა ფულები. „მადლობა ღმერთს, რაკი ეს ავიღეო“, ფიქრობდა.

— ჰო, კიდევ რას გეტყვი სტეფანე, იცი? თუ ისე გაგიჭირდეს, ჩემ*სიმამრს მიაკითხე და უთუოდ დაგებმარება: მე დღესვე წერილს მივსწერ...

ამ სიტყვებით კიდევ მოიგო ლევანმა სტეფანეს გული, თუმც ორივემ კარგად იცოდნენ, რომ ნატოს მამისაგან ხერი არც გამოსულა და არც გამოვიდოდა. ამასობაში ნატოც



გამოვიდა და სტეფანეს ბავშვებისთვის რაღაც ძველი ^{მისთვის} მისცა, რომაც სტეფანეს გული სავსებით მოუნადირა კოლ-ქმარს. ახლა-კი სტეფანე გზას უნდა გასდგომოდა, მაგრამ ფეხს არ იცვლიდა და მოუთმენლად ელოდა კეკელოს გამოსვლას. ბოლოს ვერ მოითმინა და ღიმილით სთქვა:

— ი გოგო... ერთი სადაა...

— ჰო, მართლა, ნატო, დაუძახე ერთი კეკელოსა, — მამას გამოეთხოვოს, — სთქვა ლევანმა.

— კეკელოს? ბაზარში რომ არის წასული?..

— მოუცდი, ბატონო, ბავშვია, გული დასწყდება, — სთქვა სტეფანემ.

— ჰო... კი... რასაკვირველია, — დაეთანხმა ლევანი, თუმცა გულში არც იმდენად იამა მისი მოცდა.

კოტა ხანში კეკელოც მოვიდა. გამგზავრებულ მამის დანახვა ეკალივით მოხვდა გულში: თვალები ცრემლებით აევსო, გული ამოუჯდა. მაგრამ მამასახლის-დიასახლისის შიშით და მორიდებით ხმა ვერ ამოელა, ხოლო შეტის სიბრაზით კი სულ აცახცახდა.

— შეილო, აბა მე მივდივარ და შენ იცი! როგორ ჰკუთით იქნები, — დარიგების კილოთი მიმართა მამამ, — ყველას მოერიდე, პატივის-ცემით მოეჭეცი... ამ ღეთისნიერ ხალხში ისწავლი რამეს: სიტყვა-პასუხს, ზრდილობას, — ოჯახობას... ასე, შეილო, ყველასი მორჩილი და პატივის-მცემელი თუ იქნები, დმერთი შეგეწევა, ობლობაში ხელს მოგიმართავს...

— აი, ხომ გესმის, ქალბატონო, — ნაძალადევის ღიმილით მიმართა ნატომ კეკელოს, — როგორ დარიგებას გაძლევს მამა შენი... ხანდახან რომ იცი შენებურად არევე-დარევეა...

— როგორ, ბატონო, გაწყენინებთ ხოლმე? — გულ-უბრყვილოდ მიმართა სტეფანემ ნატოს და მერმე შეილს მოუბრუნდა, — მეორედ არ გავიგონო, შეილო, შენზე რამე საყვედური, თვარა ხომ იცი რას გიზამ? ესენი შენი მეორე დედ-მამაა, შენი პატრონებია...



თავზარდაცემულ და გადაფითრებულ კველოს უნდოდა დასვენება და რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ გაებედნა და უნუგეშოდ დასწრო და კედელს. თოფნაკრავ მტრედს ჰგავდა, დამფთხალი ატუ-ზულიყო, მთელ სხეულით კანკალებდა, მიბნელებული თვა-ლები ზევით ვერ აეწია, ტუჩები წამ-და-უწუმ უთრთოდა.

სტეფანე სრული დარწმუნებული იყო თავის გულში, რომ მის შვილს ამ ოჯახში არაფერი გასაქირი არ ექნებოდა. ლევანი და ნატო ერთობ გულ-ჩვილ, ღვთისნიერ და პატიო-სან ადამიანებად ეჩვენა, შვილიც გვარიან კარგ მდგომარეო-ბაში დაუხვდა, გარეგნულად მაინც, და სხვას რას იფიქრებ-და, „კარგ სახლ-კარში, სასმელ-საქმელი კაი ექნება, მუდამ პურსა სქამს, ჩემთან-კი ცივი მჭადი-კი ენატრებოდაო,“ ფიქ-რობდა თავის გულში. მართალია, კველოს ფერ-მკრთალობა მაინცა და მაინც არ ეტაშნიკა პირველად, მაგრამ გული იმით გაიკეთა, რომ ადგილს დაცდიდა და მალე შეეჩვევაო. ამნაირად სრულიად დაიმედებული სტეფანე გზას გაუდგა. ერთობ კმაყოფილი იყო, რომ ფულები მიჰქონდა და იმაზე ოცნებო-ბდა, თუ რაში დაეხარჯა, თან ლევანისა და ნატოს მშობლებს ყოველ წუთს „ასეთი კარგი შვილების გამოზრდისათვის“ სუ-ლის ცხონებას უთვლიდა.

IV.

კველო კი თავზარდაცემული შევიდა სამზარეულოში და რა ექნა არ იცოდა. მამის ასე უცებ წასვლამ აზრები დაუბ-ნია, ერთიანად დაარტყანა. ისე გაშეშდა, რომ ტირილიც ვერ მოეხერხებინა. ასე ეგონა—საშინელ ზლოქუნს ასტებდა, ცასა და ქვეყანას შესტირებდა თავის უმწეობას. მაგრამ ენა ვერ ამოვლო, კრემლები არ იყო. . და გადაფითრებული მისჩე-რებოდა ერთ წერტილს... მაგრამ გული თან-და-თან ცემას უმატებდა, ტუჩებიც აუთამაშდა, თვალის ქუთუთოებმაც მო-



ძრაობას უმატეს და ის იყო — „დედა, მიშველეო,“<sup>ქართული
გულბატონის</sup> ეკივლა სასოწარკვეთილს, რომ ქალბატონის ხმა მოესმა.

— რას შერები, ადამიანო, სად დაიკარვე?

კეკელო ხმის ამოუღებლივ შეტრიალდა და გაშტერებული დიასახლისთან მივიდა.

— რას დაგიბლევია მაგ თვალები, — შეუტია ნატომ, — ძალიან გეწყინა წირპლიანი მამიშენის წასვლა?

კეკელოს ხმა არ გაუღია, მხოლოდ თავი დაბარა და მარჯვენა ხელი პირისკენ წაიღო.

— აი, მეხი-კი დაგაყარეთ ორთავეს თავზე! წადი მალე და წყალი დაადგი გასათობად. დღეს სარეცხი გეჭნება... გასწი მეთქი მალე! მერმე-კი აქ მობრუნდი და საცვლები ამოილაგე კალათიდან!

რამდენსამე საათს შემდეგ დამკლავებული კეკელო სამზარეულოში იყო და, ვეებერთელა ტასტზე დაყრდნობილი, საცვლებს რეცხავდა. სამზარეულო ოთახი ისე პატარა იყო, რომ შიგ მობრუნება ძნელი იყო, თან საშინლად ცხელოდა: ჯერ ცეცხლის გამო, — კეკელო რეცხვის დროს სადრისაც ამზადებდა, — და მერმე მზის წყალობით; ფანჯრებს ფარდები არ ჰქონდა, და მზის მხურვალე სხივებს სამზარეულო ფურნესავეთ გაეფარებინა. კეკელო თითქოს ვერ ამჩნევდა ამას, თუმც სახე ნაკვერჩხალივით ჰქონდა და ოფლიც წურწურით ჩამოსდიოდა. ის ფიქრებში იყო გართული და ხმის ამოუღებლივ განაგრძობდა რეცხვას...

„მამა, რა მიტენი ეს, რა? — ამას მოველოდი შენგან? აქ ჩამოხველი და ჩემი გასაქირი არ გაიგე — ისე წახველი სახლში? არ გეცოდები? შენი შეილი არა ვარ?“ აგრე ჩიოდა კეკელო და ცხარე ცრემლებს ღვრიდა.

„რად ჩამაგდე ასეთ სატანჯველში? რა დაგიშავე? ვგდებულიყავ შენს კერაზე, ნახევარზე მშიერ-მწყურვალე ვყოფილიყავ, ოღონდ აქაურობას-კი გაკშორებოდი... მამა, მამა, რად მომიძულე შენი, კეკელო, რად?“ ხმა ამოიღო. კეკელომ:



„დედა, დედა, რა დღეში გყავს შენი შვილი!“ აღმოჩნდა ლის სიღრმიდან და მუხლებ-მოკვეთილი ტასტს დაეყრდნო, უნუგეშოდ აჭეითინდა.

დედა კეკელოს ქალაქში წამოყვანამდე სამი თვით აღრე მოუკვდა. სტეფანეს წვრილი შვილები უპატრონოდ დარჩა. ლარიბ-ლატაკ მამის ერთობ გაუჭირდა მათი მოვლა-პატრონობა და გადასწყვიტა ორი მათგანი მოეშორებინა—მოსამსახურედ მიეცა ვისთვისმე. თავსაც დაირჩენენ და იქნებ მეც რამე მარგონო; ფიქრობდა ამ დროს სტეფანე. უფროსი ქალიშვილი სახლში დაიტოვა ოჯახის მოსაველელად, ხოლო კეკელო და ერთი ვაჟიც მოჯამაგირედ გასცა.

კეკელოს ნათლად მოაგონდა დედის უკანასკნელი წამები, მისი სიტყვები, და უფრო ამოუჯდა გული. „დედა, დედა, სადა მყავხარ? რად მომიბუღე შენი უბედური შვილი, ვის ხელში, დაიტოვე, ქვითინებდა სასოწარკვეთილი.“

რამდენადაც ითვალისწინებდა თავის მდგომარეობას, იმდენად უფრო ეუფლებოდა უიმედობა. არსაიდან იმედი, არსაიდან გამამხნევებელი რამ მისთვის არ არსებობდა. მამის მოსვლას ელოდა ციურ მანანასავით, მისგან ჰქონდა ხსნის იმედი, და იმანაც ასე უღალატა—მოეჩვენა მხოლოდ და ისევ წავიდა.

„აწი რა ვქნა? აწი ვინაა ჩემი იმედი?.. ვინ მიშველის“.. სლოკინებდა უიმედოდ ბავშვი. იგი ისევ ტასტის კაბრაზე იყო ჩამოწოლილი და სხეულ-მოდუნებული თავის ბედს სტიროდა. ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა ამ მდგომარეობაში, რომ დიასახლისის ხმა არ გაეგონა:

— გოგო, თვალ-ყური ადევნე: ხომ დულს ხორციანი ქოთანნი!

კეკელო ხელად წამოიჭრა ზეზე, თვალები ამოიმშრალა და რეცხვა განაგრძო. ცოტა ხანში დიასახლისიც შემოვიდა.

— როგორ იზღაზნები, შე გომბიო, შენა? აგრე უნდა რეცხვა?—მიაყვირა გოგოს და ტასტში ჩაუხედა—აბა რამდენი გარეცხაო.



— უი, ღმერთო-კი მომკალ! ამდენი ხანი რასე შერებულა დი, შე არ-გასაზრდელიო შენა: ეს არის შენი ნამუშაოა? შეჭყვირა ნატომ და ისეთნაირად დაარტყა თავში ხელი, რომ სულ გონება დაებნა. კეკელომ რალაც გამოურკვევლად შეჭბლავლა, შიშით უკან დაიხია და გონს მოსვლის შემდეგ ისევ განაგრძო მუშაობა, თან ცრემლები ღვარად გადმოუშვა.

— სატირლად გაუხდი შენს პატრონს: გაფუჭებული ადამიანი შენა ხარ, — დასწყევლა ნატომ და დაუმატა: ხელ მარდად რეცხე, თორემ სიცოცხლე აქვს მამაჩემს, — შე შენ დღე დაგაყენო!...

კეკელოს მეტი მუშაობით მაჯები სტკიოდა, სარეცხის ერთმანეთზე ხახუნით ცერებთან ტყავი გადასძვრა, ფეხზე ვერ ჩერდებოდა მეტი დაღლილობით, სიპები სტკიოდა, წველში მოხრილად ყოფნამ ილაჯი წაართო, მაგრამ რა გაეწყობოდა, უნდა ემუშავნა და კიდევ მუშაობდა... მართალია დიასახლისის გასვლის შემდეგ კოტა შეეძლო დასვენება, მაგრამ სულ ხომ ვერ გაჩერდებოდა.

„მამილო, მამა, რისთვის დამტოვე ასეთ სატანჯელში? რად არ შემიბრაღე? — მეთასეღ ფიქრობდა იგი, — წაგვეყვანე სახლში, მარტო შავი მხალი გექმია, ოღონდ ამ სატანჯველი-სათვის-კი მოგვშორებინე... რა ვქნა, სანამდის ვიქნე ასე? ვისი იმედი ვიქონიო... ჩემი შემბრაღე ახლა არავინ არის ქვეყნად: ყველამ დამივიწყა, ყველამ... დედა... დედიკო“... ასე ფიქრობდა კეკელო და უიმედოდ განაგრძობდა მუშაობას. იმასავით მარტო და უმწეო ვინ იყო ამ დროს ქვეყანაზე? მასავით ყოველ მხრივ ობოლი, მოძულეებული ვინ იქნებოდა?.. მამის მოსვლამდე თუ კიდევ რალაცას იმედი ჰქონდა, ახლა უკვე ყველაფერი დაასამარა, დარწმუნდა, რომ ვერ მოშორდებოდა აქაურობას. აგონდებოდა წარსული და მთელი არსება ეშხამებოდა. სოფელი და იქაური ცხოვრება რალაც სამოთხედ ეხატებოდა, სადაც ოდეს-მე უნეტარნია, ხოლო დღეს-კი ყველაფერი დაუკარგავს და

ჯოჯოხეთშია. იგონებს იქაურობას, უზრუნველ-უდარდელ ცხოვრებას, ტოლებს და ისედაც მოშხამული არსება კიდევ უარესად ეწამლება.

„მშებო და დებო... ჩემო საყვარლებო, ჩემო ძვირფასებო... ახლა ვერ გნახავთ, — არაფერ მაჩვენებს თქვენ თავს... ჩემო ტოლებო... ეზო-გარემოვ... მშვიდობით, მშვიდობით... ყველამ მომიძულეთ, ყველამ დამივიწყეთ... დედა... დედიკო!“ ფიქრობდა გულდათუთქული კეკელო და ცხარე კრემლები რეცხვისაგან დამბალ-გაჩვილებულ პატარა ხელებზე ეწვეთებობოდა... ოფლიც წურწურით ჩამოსდიოდა...

ვ. მალაქიაშვილი.





იაკობ გოგებაშვილის ხსოვნას.



სევ გაისმა გლოვის ხმა,
ისევ აჭირდა მთა-ბარი,
კვლავ შეიმოსა თალხითა
სამშობლო, ცრემლად დამდნარი.

ისმის ქვითინი ბაღლებს;
მთანი ბანს ეუბნებიან;
მტკვარი მწუხარედ დუდუნებს,
ცაზე ვარსკვლავნი კრთებიან.
გულ-დაღვრემილი ქართველნი
ერთმანეთს ეკითხებიან:
„ჰო? — ნუ თუ? მართლა დავკარგეთ
შემქნელი „დედა ენისა!?“
კიდევ მოგვიკვდა სინათლე,
მთესველი კეთილ მცნებისა?
სიკოცხლე ჩამქნარ-ჩ მქრალსა,
გულსა ჰხამს გლოვობ-ჩიოდეს
შეიღებს და მშობლებს საერთოდ,
წყლული იმისთვის სტკიოდეს.

არ გვეყოლება აწ იგი—
 შიკრიკი გაზაფხულისა:
 სიკვდილის ქორმა წაგვართვა
 ნუგეში დაჩაგრულისა.
 ქირისუფალი დიდის ხნის,
 ერთგულად მცველი ერისა,—
 დაულაღავი მოღვაწე
 მარად მებრძოლი მტერისა.
 მაშ კვნესა, კვნესა, ქართველო!
 ვიგლოვოთ ბურჯი ენისა:
 დავკარგეთ დიდი საუნჯე
 და სიამაყე ერისა!

ქრისტინე დგებუაძისა.





ლადოს ორნები.

(საყმაწვილო პიესა 3-მ მოქმედებად).

(კადმოკეთებულა რუსულიდან).

მონაწილენი პირენი:

ლადო ბადრიძე, (13 წლის, გიმნაზიის მოწაფე. საზაფხულო ტანისამოსი აცვია. სახე ბოროტი და მიზეზიანი აქვს).

თინა. (ლადოს და, 8—9 წლის. ციალა, მიმზიდველი სახის).

გიგა. (მორბედი ბადრიძიანთ ოჯახში, 12 წლის, წყნარი, თავაზიანი).

გოგი. (ლადოს ამხანაგი, 15 წლის, პირში მთქმელი, დახედული).

ნინო. (აღმზღელი ქალი, ბადრიძიანთ ოჯახში, 19—20 წლის).

მარიაში. (მრეცხავი, შუაზნის დედაკაცი, გიგას დედა).

კატო. (6—7 წლის, გიგას და).

(1 და 2 მოქმედება სწარმოებს ბადრიძიანთ ბინაზე, მე-3 მარიაშის, სარდაფში).

მოქმედა პირველი.

(მდიდრულად მორთული ოთახი. ხალიჩა, სწორი მაგიდა, რომელზედაც აწვეია წიგნები, რვეულები, ფოტოგრაფიული სურათები და სხვა უმნიშვნელო ნივთები: სვარძელი, სკამები, საქანელა, სვარძელი, ვე ვიდეები. ოთახს ერთი კარი აქვს).

გამოსვლა პირველი.

ლადო. (საქანელა-სვარძელში ზის, ხელში კატა უჭირავს და აღიზიანებს) რა სულელი ცხოველია! (მიუბრუნდება კატას და რიკებს) რამდენჯერ მითქვამს: უნდა წყნარად იჯდე და ყური მიგდო ხოლმე. არც თათის გაწედა იცი, არც ხელებზე გადახტომა. თუ-კი სხვებმა იციან, შენ რა ღმერთი გიწყურება? (მოთმინებიდან გამოსუფი კატა ხელს უჭირავს): ერთი ამას უყურეთ! მადლობის მაგიერია? დამაცადე! (სცემს. კატა გამოუსხლტება და გაფრდება კარში). აჰა, გაიქეცი? ყიდევ ჩაგიგდებ ხელში. (დგება, ხელში მათრახი უჭირავს).

გამოსვლა მეორე.

თინა. (საზაფხულაო, თეთრი კაბა აცვია). რა არი, ლადიკო, ყიდევა სცემე ციკუნისა? (უჩქარის მათრახს). როგორ არა გრცხვენია! რა ბოროტი და საძიგელი ხარ?! (ტრიაფს ზიარებ).

ლადო. (აჯაყრებს თინას) ბოროტი და საძიგელი ხარ, ბოროტი! არ უყურებთ ამასა? კატასაც ყი ესარჩლება. მაწას არ ასცილებია და უფროსებს კვავს გვასწავლის. ცხოველთა დამცველ საზოგადოებაში ჩაეწერეთ, ქალბატონო, პირველ ადგილს დაგითმობენ. (თინა

ხირს მოაჩივებს და ტირის. ლადო მოდბება). ნუ წყნუ-
ტუნებ ერთი, მეჯავრება ქალები: ყოველთაგანს სტენი და მტირალები ხართ (ზიზღით წყურვს შე-
ქნავს).

თინა. (შესწევებს ტირილს და გაბეჯულად მიდის ძმასთან).
კარგი, მე სუსტი ვარ... გიგა? ის ხომ სუსტი არ
არის? მას რაღასთვის ებრალება ცხოველები? არა-
სოდეს არა სცემს ჩვენ ციკუნისას. აბა შიპასუბე,
რისთვის არის ეს, რისთვის?!

ლადო. (კიდევ აჯავრებს) რისთვის, რისთვის, რისთვის? მოჰყე
შენებურად ტიტინს. რა მაგალითია ჩემთვის თქვენი
გიგა? მე მასთან ლაპარაკსაც კი არ ვიკადრებ. (თან-
დათან უფრო არაზობი) გიგას საქმე სამზარეულო და
სამოვარია. მაგის ღირსსაც არავინ ვახდოდა, რომ
პაპას არ შეებრალებოდა. აქ მოსვლამდე ქუჩა-ქუჩა
დაეხეტებოდა და კაპეიკებს თხოულობდა...

თინა. (შოკითაშენდად) სტუი! გიგამ კარგად იცის, რომ მა-
თხოვრობა სირცხვილია. მას არასოდეს არ უთხოვ-
ნია. ისე აძლევდნენ ნაცნობები, რომელთაც იცოდ-
ნენ, რომ დედა მისი ავად არის და მთელი ოჯახი
მშიერია. თვითონ ნახევარჯერ მშიერი იყო და დე-
დასთან და დასთან კი მიჰქონდა.

ლადო. (დაჰინვათ) რასაკვირველია, თქვენ ასე გეუბნებოდით,
ქნო მოსარჩლევ, ნამდვილად-კი სულ სხვას სჩადი-
ოდა: ყიდულობდა ბულებსა და სხვა-და-სხვა ტკბი-
ლეულობას და მიირთმევდა.

თინა. (სოკვედურით უცქერის ძმას).

ლადო. (დარცხუნილი, მაგრამ მაინც გულ-მოისულად) რას მიც-
ქერი: ნუ იცი აგრე დაშტერება. (კვლარ გაუსწორებს
თვალს და შიპანუნდება).

თინა. (ხალგადახდა) ლადო, ლადო! რას იტყოდნენ დედ-
მამა ჩენი, რომ გაცოცხლებულიყვნენ და დაენა-

ხათ, თუ როგორა სკემ ჩვენ ციკას. აწვალქმ მსუ
 რიას. ან გავგონათ ის სიტყვები, გიგას შესახებ
 რომ ამბობ, იკოდე რომ მწარედ იტირებდნენ,
 მწარედ.

ლადო. (ფეხის ბრახუნით) თუ ახლავე არ დიჩუმდები, პაპას-
 თან გიჩივლებ

თინა. ფუი! რა ბოროტი ხარ, ლადო!

ლადო. (მუშტებს მოუდერებს და ღუჟუჟებს) გაეთრიე აქედან!

გამოსვლა მესამე.

ნინო. (სადაღ, მკრამ სუფთად აცეა) რასა ხმაურობთ, ყმა-
 წილებო? კიდევ ომობ, ლადო? კიდევ არ ასვენებ
 პაპას? (თინას ადუნისთ) გაგაჯავრა?

ლადო. (შობრუნდება, არაფერს ამბობს)

ნინო. მიპასუხე, რას გაჩუმებულხარ? (თინას) გაგაჯავრა?
 (თაყსე ხელს გადაუსკამს და თვალეშა ჩაიჭქრდება).

თინა. (თაყს დახრას) არა, ნინო, კი არ გამაჯავრა, ცო-
 ტათი მაწყენინა. მეცადინეობა შევეუშალე. (ღე-
 დოს) მაპატიე, ლადო, წავალ (ხანო და თანა გადაან.
 მამაკადა ჩანო ლადოს გადახედვს და თაყს გაიქნვს).

ლადო. (შობრუნდება კარებისკენ და დაცინებით ამბობს) რა მე-
 ჯავრება ეს გამოსარჩლება, სხვისთვის თავგამოდება!
 ჩემი და თინა სწორედ ასე იქცევა. რისთვის? უნდა,
 რომ ყველა მას აქებდეს. ჩვენი მოსამსახურე ბიჭი
 გიგა რალაც გმირად ჰყავს წარმოდგენილი... იმისი
 ქების მეტი აღარაფერი გესმის: „აჰ, გიგა! აი, გი-
 გა! ჭა კეთილია, რა თავაზიანია, რა პატიოსანია,“
 და რა ვიცი რამდენ სახელს არქმევენ... მერე რა
 არის საიმისო? ერთი ჩანჩალა ბიჭი, მეტი არაფერი.
 პაპაც და გადიაც სულ იმის ქებაში არიან. მაგრამ
 თავი და თავი ის არის, რომ გიგა თვისი პატიოს-

ნებით აკვირვებს ყველას. მიკვირს, რისთვის ეძახიან მაგალითად ჭკვიანს? პაპა გიმნაზიაში შინაარსისაა კი უპირებს. იმიტომ, რომ ჩემი რეპეტიტორი ხშირად მასაც ასწავლის და დიდ ნიქს ამჩნევს. ხა, ხა, ხა! რა ნიჭიერია! რა არის მერე, რომ სამოქალაქო სასწავლებელი აქვს გათავებულნი? იქ მარტო სამი კლასია. სწავლაც ადვილი. აბა ჩვენ გიმნაზიაში შემობრძანდეს, და ნახავს, რა ნიჭიერიც იქნება! ყველაფრის თქმა შეიძლება. მაგრამ ეს პატიოსნებაა? ნეტავი, რაში ხედვენ გიგოს პატიოსნებას? (ბრაზობს) ოჰ, როგორ მეჯავრება ის ბიჭი! მერე ლახათიანი მაინც იყოს: ჭირიან ქათამსა ჰგავს. ყველა ჭკვიანს, კეთილს და პატიოსანს ეძახის! ხა, ხა, ხა! (გაწიწმტკუღი დადის თთხში; ეტეობა, რადგუნდა მოიფიქროს. სხეზე ბორბოტა გააშეკვველება კმჩევა, ჩერჩუღით დაპარაკობს, ხანდახან შეუურეკუღთავს შიარჩნდება) აბა, ეს კარგი აზრი მომივიდა! დღესვე ყველას დაუშტკიცებ, თუ რა პატიოსანიც არის მათი ნაქები გიგა (ანჭარებათ იღებს ჟაბიდან ზოზნეუანს). აი ეს ათი მანათი დღეს პაპამ მომცა: უნდა მოურავეისთვის გადამეცა. დაედებ საწერ მაგიდაზე წიგნებში (სდებს), დაეუძახებ გიგას და უბრძანებ, რომ ჩემი წიგნები დააწყოს და სამეცადინო ოთახში გაიტანოს, თვითონ-კი წავალ. დარწმუნებული ვარ, „პატიოსანი“ გიგა, დაინახავს თუ არა ფულს, ვეღარ მოითმენს და ჩაჯიბავს; მით უმეტეს, რომ დედა მისი ძლიერ გაჭირვებულია ახლა; არც საჭმელი აქვს და ბინიდანაც ითხოვენ. უნდა პაპასათვის ეთხოვნა ფული, მაგრამ სცხვენია. ვნახოთ, რას იტყვის ქალბატონი თინა, როცა გაიგებს, რომ მისი გმირი ქურდი გამოდგა. (ზ.რს აწყარუნებს).

კამოსვლა მეოთხე.

(შემოდის გიგა. მშვიდი, მაგრამ კამხდარი და აუღმყოფი სახე აქვს. დარიბულად, მაგრამ სუფთად აცვია).

- გიგა. (მიდის დადოსთან). ზარი თქვენ დააწკარუნეთ?
- ლაღო. (არც-კი შეხედავს) დაალაგე ჩემი წიგნები და რვეულები და გაიტანე სამეცადინო ოთახში. მე სასიერნოდ მივდივარ. (ჩქარა გადის).
- გიგა. კარგი. (მიდის მაგდასთან, იღებს ერთ წიგნთაგანს და ხედავს ფულს) ათი მანეთი განა შეიძლება ფულის ასე მიგდება? ლაღოს თუ დაავიწყდა. შეიძლება ბოდა კიდევ დაკარგულიყო. რა გაუფრთხილებელია ლაღო. კი არ დამავიწყდეს ფულის მიცემა (ჭიბუში იღებს) მოხუცმა ბატონმა თუ მისცა მოურავისთვის გადასაცემად; წელან ლაპარაკობდნენ რაღაცას, მაგრამ ველარ გავიგონე (ჩაფიქრებული დაჯდება სკამზე და თავზე ხელს შემოიდებს). საბრალო დედა ჩემი! ხვალ თუ სახლის პატრონს ფული არ მისცა, ქუჩაში გამოავდებენ. რა უნდა ვქნა? ვთხოვო ბატონს? მიხვდება ჩემს გაჭირვებას და მომცემს, მაგრამ ძლიერა მრცხვენთან. ისედაც ხშირად გვებმარება. საცოდავი დედა კი საუბედუროდ სწორედ ახლა გახდა ავიდ და სარეცხს ველარ რეცხავს. სხედან ისა და ჩემი პატარა და ულუკმაპუროდ. არც მე გამაჩნია რამე. გუშინ უკანასკნელი აბაზი მივეცი დედას, — ჯამაგირამდე კი მთელი ერთი კვირა დარჩა. (მაუზა. უცბად თითქოს რაღაც მთავანდათ) ლაღოსა ვთხოვ, პაპა მას არასოდეს უარს არ ეუბნება... მაგრამ არა... ლაღოს არ უყვარვარ. რისათვის, — მეც არ ვიცი. ყოველთვის ვცდილობ ვასიამოვნო. ამას წინად მშვენიერი ანკესები გაუკეთე და უთავაზე.



აილო, დაცინვით ახელ-დახელა და ჩემი რჩევაღწიანი დაამტვრია. ისე მეწყინა, კინალამ ვიტროსე. (მაუსა, განკრძობს დაფიქრებულად დაპარაკს) მართალია, ლადო ნასწავლია: ორ წელიწადს პაპასთან ერთად საზღვარ გარედ იყო, ყველაფერი ნახა, ყველაფერი იცის. მე? ვინა ვარ? ლარიბი, უბრალო ბიჭი, არაფერი მინახავს, არაფერი ვიცი. მერე როგორ მინდა ბევრი ვისწავლო, ყველაფერი გავიგო! როცა ვისწავლი, დედასაც დავეხმარები. (მაუსა) აი თინა, ლადოს პატარა და—რა კარგი, რა კეთილია; ძლიერ მიყვარს; ლადოს კი ისიც ეჯავრება, ხშირად ატირებს. რისთვის? (მაუსა, უცხად წამოვარდება და წიგნებს თავს უყრია) ნეტა რასა ვზივარ ამდენხანს აქა, საკაა სამოვარი უნდა დავდგა. ეწყინებათ.

გამოსვლა მეხუთე.

ლადო. (ჩქარის ნაბიჯით შემოდის თათხში, მივარდება მაგიდას, დააჩქერდება იმ ადგილს, სადაც ფული იდო, შემდეგ მობრუნდება და დაამტვრდება ციკას).

გიგა. (გაჩქვარდება და თან იბნევა; ჯერ გაუსწორებს თვალებს, შემდეგ, თათქო დამნაშავეაო, თავს ჩაღუნავს)

ლადო. სად არის ფული? ათი მანეთი დავდე აქ, და აღარ არის.

გიგა. (აჩქარებით იღებს ფულს ჯიბიდან) ნუ გეშინიათ, ლადო; აი ის ფული: შევინახე, რომ არ დაკარგულიყო და თქვენთვის გადმომეცა (აწვდის ფულს ლადოს).

ლადო. (ბოროტად, ა-ა! შეშინდი? (ართმევს ფულს) ვერ მომატყუებ. გინდოდა ფული დავგეზოლა? გეგონა, რომ დამავიწყდებოდა, შე საძაგელო? (ხმას თან-და-თან უმაღლებს) ახლავე წავალ პაპასთან და ვერტყვი, რომ



ქურდი ხარ! ყველას ვეტყვი, ყველას! ახლა ტოსიანს დაგიძახებენ? (გარბის).

გიგა. (გაშტერებული სდგას. თავზე ხელს იტაცებს და ლადოს ხმაძლდა გასძახის: ლადო!. . ეს რა სთქვა!? მე.. . მე ქურდი ვარ?! ფული უნდა მომეპარა? თუ იხუმრა? (სცდილობს გაიღამოს, დაფიქრდება და შტკიცედ ამობს) არა, მართლა დამიძახა ქურდი, მართლა! (ღან-ში ხდაღა დაეშვება სკამზე და ქვათინებს) რისთვის, რისთვის? დედილო! დედილო!

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო . რ . ე .

გამოსვლა პირველი.

თინა. სევარძელში ზის და მაკადაზე მდებარე დედოფლას თავაღიერებს.

გამოსვლა მეორე.

(წენარად შემოდის გიგა)

გიგა. (ხაღვლიანად) მშვიდობით, თინიკო!

თინა. (თავს ასწევს და ადგება) რისთვის? განა სამუდამოდ მიღიხარ?

გიგა. (თავს წაღუნავს) მიედივარ, თინა. ერთ რამესა გთხოვთ: არ იფიქროთ, რომ მე ქურდი ვარ და სხვისი ფულის წაღება მინდოდა. პაპასთან ზომ ასე დამაბეზლა ლადომ?!

თინა. (აღლევებული) მე მგონია—პაპა არ დაიჯერებს, არავინაც არ დაიჯერებს, გიგა, არაეინ, ისე როგორც მე არა მჯერა.

გიგა. (მხიარულად) თქვენ არ დაიჯერეთ, თინა? გმადლობთ, გმადლობთ! მე ვიცი, არც ლადოს სჯერა

ეს, ვფიქრობ, რომ იხუმრა. უთხარით მას, თინა, რომ მე მისთვის ყველაფერი მიპატიებია (კარმის).

თინა. (თვალს გააფლავებს. შემდეგ წენარად და დაფიქრებულად ამბობს) საბრალო გიგა! რა კეთილია! (მაუფლებს მაგიდას) ფუფალავ, კეთილო, საყვარელო ფუფალავ! მოახდინე ისე, რომ ყველა დარწმუნდეს გიგას სიპართლემში: სთქვან, რომ ჩემმა ძმამ ლადომ იხუმრა. ჩააგონე ჩვენ პაპას, რომელსაც ლადო ძლიერ უყვარს და ანებიერებს, რომ ლადომ მხოლოდ იხუმრა. ძლიერა გთხოვ, ძლიერა, ჩემო ფუფალავ (თავს მაგიდაზე დაუშვებს).

გამოსვლა მესამე.

ნინო. (შეშოდის, ხელში საქსოვა უჭირავს).

თინა. (თავს მადლა ასწვევს).

ნინო. (მე კი შენ დაგეძებ, თინიკო. აქ რას აკეთებ?

თინა. (დარბხვენით) არაფერს, მე მხოლოდ გიგას გამოვეთხოვე... სამუდამოდ წავიდა დედასთან.

ნინო. (ჩამოჯდება და აღერსით თავზე ხელს გადაუსვამს) ძლიერ გეცოდება გიგა?

თინა. ძლიერა, ძლიერ, ნინო (თავს ჩადუნავს) თქვენ გიგას შესახებ პაპასთან არ გილაპარაკნით? (კარებში გამოწნდება დაღო, ფარდას ეფარება, ისე რომ მკურებელი ხედავს მას. მხოლოდ ნინო და თინა ვერა).

ნინო. ჰო, ჩემო კარგო, ველაპარაკე.

თინა. მერე? პაპამა სთქვა, რომ წავიდესო?

ნინო. არა, ჩემო ჩიტო! გიგას თვითონ აღარ შეეძლო მეტი დარჩენა: დედა ჰყავს აუად და ძლიერ დარდობს. ყველაფერი უამბო პაპას, მასაც შეეცოდა და გაუშვა დედასთან, თან საქირო ფულიც მისცა.

თინა. (ტრამ დაჰკრავს) მაშ პაპამ არ დაუჯერა ლადოს, არ

დაუჯერა. მან კარგად იცის, რომ გიგა პატრონი ბავშვია, ლადო კი ბოროტი.

ნინო. ნუ იტყვი ვერე, ჩემო თინა, ნუ! მართალია, ლადო მოუფიქრებლად მოიქცა, მაგრამ იცოდე თვითონვე გამოტყდება დანაშაულში. (დადო თავს ჩაჭკიდებს, თათქოს შართლაც უნდა გამოტყდეს, მაგრამ შეისვე სახეს იცვლის და რახანად შემოდის ოთახში).

გამოსვლა მეოთხე.

ლადო. რაში უნდა გამოვტყდე? (ჯაუტათ) მართალს ვამბობდი. ტყუილად უხდით ბოდიშს თქვენს გიგას. ხა, ხა, ხა! (დადის ოთახში და უსტვენს).

თინა. (მუუტვეს) როგორ არა გრცხენია, ლადო, როგორა?!

ლადო. შენ არ გელაპარაკები, ქალბატონო!

ნინო. ბავშვებო, ნუ ჩხუბობთ! (დადოს) კარგი იქნება, ლადო, რომ პაპასთან წახვიდე და გულ-ახლილად მოელაპარაკო! (დადო გაჩურდება და შირს შაიბრუნებს) მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ძლიერა სწუხარ; გახსოვდეს, რომ შეურაცხყოფა მიაყენე სრულიად უდანაშაულო ადამიანს. რისთვის? განა როდისმე გაწყენინა რამე? პაპასი მაინც არა გრცხენიან? ხომ იცი, როგორ უყვარხარ? მერე რას იტყვის, როცა გაიგებს, რომ მისმა ბაღიშმა *) იტრუა, იტრუა ისე, რომ სრულიად უდანაშაულო ბავშვს სახელი გაუტება, დასტანჯა?!

ლადო. (უბზად შაიბრუნდება) აჰ! თქვენ ვერ მიცნობთ, ჩემი არა გჯერათ. აი მოვიდეს ჩემი ამხანაგი გოგი: ის ყველაფერს გაიგებს.

ნინო. (შეხედავს დადოს და თავს გააჩნევს. შემდეგ მიუბრუნ-

*) შეიღამიღამი.



დგბა თინას) თინა! წაიღეთ სამეცადინო სადილობამდის არითმეტიკა ვისწავლოთ.

თინა. (უაწყობაით დგბა და თავჩაღუნიაღა მისდგეს მასწავლებელს)

ლალო. მიკვირს, ღმერთმანი! ბოროტიც შე ვარ, საზიზღარიც, ცრუც და ყველაფერი. ხა, ხა, ხა! მაგრამ მოვიდეს გოგი. ის ჩემ მხარეს დაიჭერს. გოგი ჰკვიანია. ორი კლასით ჩემზე წინ არის. მაგრამ მაინც ჩემი ამზანავია. მას არასოდეს არ ნოეწონება ისე გიგა, როგორც ჩვენებს მოსწონთ. მას არცკი შეუშინევია გიგა ჩვენსა. გოგი იმიტომ მომწონს, რომ ზოგიერთებივით მტირალა და მოწყენილი არ არის. მუდამ მზიარულია და კოცხალი. ხეზე აქონაც კარგად იცის. თუმცა არც ისე კარგად: მე იმაზე მაღლა ავდივარ ხოლმე. მხოლოდ ერთი არ მომწონს იმისი—ტრაბახას შეძახის. ქალიშვილებიც, გაიგონებენ თუ არა, მოჰყვებიან ჩხავილს: „გოგი მართალს ამბობს, მართალს, ლალო ტრაბახა, ტრაბახაო!“ ან კი ეს რა საინგარიშოა! მე და გოგი მაინც მუდამ მეგობრები ვიქნებით. იმისი ყველაფერი მჯერა; მისაც სჯერა ჩემი. მოწაფეები ყოველთვის ყურს უგდებენ მის რჩევას. გოგის მამაც მაღალი და მტკიცე ხასიათის კაცია. გოგის ძამა ძლიერ უყვარს.—მართალი კაცია, ყველა პატივსა სცემსო,—ხშირად იტყვის ხოლმე.

გამოსვლა მეხუთე.

გოგი. (აჩქარებით შემოჯდის თათხში).

ლალო. აჰ, გოგი!

გოგი. მაპატიე, გეთაყვა: კოტა დავიგვიანე. მამამ რაღაც ახალი თამაშობა მოიგონა და, სანამ არ ვისწავლე,

არ წამოვედი. ერთხელ მოუგე კიდევ მაშას, ^{საქართველოს} ^{საქართველოს} ეს ხომ ცოდნით არ მომსელია; ალბად შემთხვევით მოხდა, ან კიდევ მაშამ ძალად მომაგებინა.

ლადო. (მოუთმუნდად გააწვევტინებს). ჩვენსა მთელი უბედურება დატრიალდა!

გოგი. (უურადღებთა) რა მოხდა?

ლადო. ისეთი არაფერი, სულ უბრალო რამ. უნდა გითხრა, რომ ძლიერ მომაბეზრა თავი გიგამ, — ხომ იცი, ჩვენსა რომ ბიჭი მუშაობს. სუყველას მისი პატიოსნება და გმირობა აკერია ენაზე.

გოგი. (აწვევტინებს) მერე რა ვუყოთ? გიგა მართლია ასეთია! შენ რაღა გაანჩხლებს? (იღიმება).

ლადო. (გაკვირვებით უცქერის გოგის, თითქოს არც-კა იჯერებს და თან გულდასაზრდ იღიმება). ჰო? მაშ კარგი. ახლავე გიამბობ. აქამდე მეც პატიოსანი მეგონა, მაგრამ ახლა სულ სხვანაირად ვუცქერი.

გოგი. (კუსვით) მართლა?

ლადო. მაშა! აი დაჯექი და ახლავე გიამბობ ყველაფერს. (გოგა დაჟდება, ლადო მას წინ დგას). ამ რამდენიმე დღის წინად საწერ მაგიდაზე დავარჩინე ათი მანეთი, რომელიც პაპამ მომცა მოურავისთვის გადასაცემად. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში დავბრუნდი... ამ დროს გიგა ჩემ წიგნებს ალაგებდა. დაეხედე მაგიდაზე: ფული აღარ არის. გიგა სდგას, გაფითრებული, დაბნეული. (გოგა დადის, თვალს არ აშორებს, ლადო თან-და-თან იბრუნება, უკომნობს) ჰო, აი მე... ძლიერ გავბრაზდი, ვეკითხები: სად არის ფული? ის დარცხვენით მიპასუხებს: „უკაცრავად, ფული მე შევიინახე, მეშინოდა — არ დაკარგულიყო“-ო, და ფული ჯიბიდან ამოიღო- რასაკვირველია ყველაფერს მივხვდი, გავიჭექე პაპასთან და ვუამბე რაც მოხდა. პაპამაც დაითხოვა ის. ამის შემდეგ რაღას იტყვი?



- გოგი** (შშეიდად, დაღონებული უცქერას დადოს. ^{გაბრიელის} შემდეგ მტკიცედ და რწმენით ეუბნება) არა მჯერა, რომ პაპა შენმა გიგა სახლიდან გააგდო. არა მჯერა ისიც, რომ გიგამ ქურდობა ჩაიდინა. დედა ჩემი იცნობს გიგას დედას, რომელიც ჩვენსა სარეცხს რეცხავს. მთელი კვირით მოდის ხოლმე სამუშაოდ, გიგაც ხშირად მოდის მასთან, მაგრამ არ მახსოვს, რომ რამე დაკარგულიყოს. მამაც ხშირად იტყვის ხოლმე, რომ გიგას დედა პატრიოსანი მუშა დედაკაციაო. გიგაც კარგ და ნიჭიერ ბავშვად მიაჩნია.
- ლადო.** (დაბნეულად) ნუ თუ?
- გოგი.** გახსოვს, ლადო, რამდენჯერ დამიძახნია შენთვის ხუმრობით მკვებარა? შენ ყოველთვის გული მოგდიოდა... ახლა-კი უნდა დავუმატო, რომ შურიანი და ბოროტიც ყოფილხარ. (დადო დაჩხუქებით და დაბნეულად უცქერის გოგის). დიად, დიად! შენ გშურს გიგას ნიჭი და პატრიოსნება, რასაც დიდი ხანია გამჩნევდი, მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ სტყუი! იცოდე: თუ ამხანაგებმა გაიგეს შენი ასეთი საქციელი, მთელი კლასი ზურგს შეგაქცევს, ყველა ისირცხვილებს შენთან სწავლას და თამაშობას. მამას არა-ერთხელ უთქვამს, რომ მატყუარა და შურიანი არაეის უყვარსო. ის-კი ყოველთვის სიმაართლეს აშბობს. მეც ძლიერ მარცხვენს შენი საქციელი, გიგა-კი მებრალეობა (დადოს ზურგს შეაქცევს. მაუზა. დადოს ჯერ უნდა გაიღიმოს, მაგრამ ცრემლები უსწრობს და ჩწკვტილია ხმით ამბობს).
- ლადო.** გოგი! მომეცი სიტყვა, რომ, რაც გიამბე, ჯერ-ჯერობით არავის ეტყვი.
- გოგი.** (მოხბრუნდება დადოსკენ; რატომ?)
- ლადო.** (ძლიერ ადვლავებულად) იმიტომ... რომ... იმიტომ... შეიძლება მარტო ჩემი ბრალიც იყოს ყველაფერი.

- გოგი.** (დაშაღაით) აი, ეს კარგია! ეს სულ სხვა რამეა! იტა ხელი და კარგად იფიქრე, თუ რა ჩაიღინე. დარწმუნებული ვარ— შენი თავისა შენვე შეგრცხვება. ახლა-კი შვიდობით. აბა, არ დაგავიწყდეს, კარგად მოიფიქრე.
- ლადო.** (მხიარულად და მაკრად ართმუეს ხელს) გმადლობ... გოგი! მე... მე მოვიფიქრებ...

მ რ ა მ ე დ ე ბ ა მ ე ს ა მ ი.

მრეცხავი მარიაშის ბინა, სარდაფში.

გამოსვლა პირველი.

(მარიაში, გიგა და კატო.)

- გიგა.** (ზის იატაკზე ავადმუთვ დედის ტახტთან. მარიაშს სძინავს. კუთხეში თამაშობს კატო). ლადო-კი არ მოდის. ნუ თუ ვცდები? დედა-კი დარწმუნებულია, რომ მოვა. საბრალო დედავ, რა კარგი ხარ, რომ სიღარიბე და ავადმყოფობა არ გტანჯავდეს? როცა ვუამბე ყველაფერი, ატირდა, მომეხვია და მითხრა: „აბატიე, შვილო, ლადოს, გული ნუ მოგივა მასზე; ის თვითონ მოვა შენთან და გეტყვის, რომ ტყულ-უბრალო შეურაცხყოფა მოგაყენაო. დედილომ ისიც მითხრა, რომ მაცხოვარს უყვარს ბავშვები, უყვარს სუყველა, მდიდრებიც და ღარიბებიც, კარგებიც და ავებიც. ავი ხასიათის ბავშვებზე მაცხოვარი ყოველთვის ზრუნავს თურმე. გზავნის მათთან თოვლივით თეთრ ანგელოზებს და უთვლის, რომ ავი ზნისანი კარგები გახდნენ, კარგები კიდევ უფრო გაკარგდნენ. (ამოიხსრებს) ნეტავი ლადოსთანაც მი-



ფრინდეს ის თეთრი ანგელოზი და გამორეზინტონს! ჩემთან. მე ყველაფერს ვაპატიებდი, ყველაფერს! (ჩაღუნავს თავს და ჩაიქრძება).

კატო. გიგა, მშინ!

გიგა. ახლავე, ახლავე, დიკო, დედა გაიღვიძებს და პურსა ვკამთ.

კატო. ჩქარა რომ არ გაიღვიძოს? მე ახლა მშინ!

გიგა. (მიდის კედლობასთან, კამოიღებს ჰურის ნატეხს და აძღვეს) აი, პური. კამე. იჯექი წყნარად, დედას ძილს ნუ უფრთხობ.

კატო. (მხიარულად) უპ, რა დიდი ნაქერია! თეთრი პურიც გვქონია (სჭამს).

მარიამი. (იდგამებს) რა იყო, შეილო კატო?

კატო. პურსა ვსკამ, დედილო!

გიგა. გაგაღვიძა, დედი? ცოტა უკეთ არა ხარ?

მარიამი. მადლობა ღმერთს, შეილო! ახლა ცოტა უკეთა ვარ. ჩქარა მუშაობასაც დავიწყებ

გიგა. რას ამბობ, დედი. ჯერ ისევ უნდა იწვე, ხომ ხედავ — სუსტადა ხარ!

მარიამი. არა მიშავს-რა, შეილო, უკვე კარგადა ვარ.

გიგა. იცი, რომ ვილაკამ გუშინ ძღვენი მოგვიტანა? ხორცი, თეთრი პური, კარაჭი და სხვა. მეგზოვეს ხელით გამოვეგზავნა, და ვინაობა-კი არ ეთქვა.

მარიამი. (შიარჯვარს გადაიწეხს) ღმერთმა უშველოს ობლებიშ შემწეს.

გიგა. (ხადღვლიანად) ლადო-კი არ მოდის.

მარიამი. მოვა, შეილო, მოვა (გადაარუნდება შეორე გვერდზე და ამოიახხრებს).

გიგა. (უნქერის დედას. აიღებს წიგნს და კითხულობს. მაუზა. კარებს აკაკუნებენ).



კატო. გიგა, გესმის?

გიგა. (დაჯდების წაგნს) რა? (კარებს უფრო გასაცინად დაკანკანისებს) კუნებენ. გიგა კარებს მივარდება. მარიამი ლოგინიდან წამოდგება.

გამოსვლა მეორე.

ნინო, თინა. აი ჩვენც გიპოვეთ. აი ავადმყოფიც! როგორა ხარ, მარიამ?

მარიამი. (დაჯდება) გამარჯობათ, ჩემო კარგო, გმადლობთ. არა მიშავს რა, მადლობა ღმერთს! გიგა, სკამი მოართვი.

გიგა. (შიათმუვეს სკამს ჩინოს) დედი, თინაც მოსულა (შუაშჩნევის დადოს) აი პატარა ბატონიც... (ტყუიღმება). (ამ დროს კუთხიდან გამოდის კატო, მიდის თინასთან და მის თავზე წათქვლ ღებტს დატქვრდება).

თინა. გამარჯობა, კატო!

კატო. რა კარგი ლენტი გაქვს!

თინა. მოგწონს?

კატო. ჰო, ძალიან

თინა. გინდა გაჩუქო?

კატო. (უყუშნათ) მარტებ?

თინა. (იღიშება) გაჩუქებ.

კატო. კარგი!

მ რიამი (ღიშილით) მადლობა გადაუხადე, შვილო!

კატო. (დედას უტქვრის) გმადლობთ! (შერტხება და ისევ კუთხასკენ გაიქცევა).

ლალო. (ტყუიღმავად გამოდის წინ და მარიამის ლოგინს მიუხლოვდება).



- ნინო და თინა.** (აღურსით უნქურთან და თავის ქვევით ნამხაიერს, რომ დაიწყო).
- ლადო.** მე მინდოდა... მე გთხოვთ, მარიამ, მაპატიეთ... მე... მე ვიცრუე, გიგას ცილი დავსწამე.
- გიგა.** (შივარდება ლადოსთან) ლადო! მე ვიცოდი, რომ თქვენ კეთილი ხართ.
- ლადო.** (დარცხენილია, აფვილიდან არ იძვრის) არა, მე ბოროტი ვიყავი და არა კეთილი. ეს მე პირშია ცი-თხრა გოგამ. მაგრამ ახლა ყველაფერს მივხვდი. (გულ-ახდილად) მოიტა ხელი! (ხელს უწვდის).
- გიგა.** (შივარდება და ხელს აძევებს).
- მარიამი.** მადლობა ღმერთს, შერიგდნენ.
- თინა.** (გულარე მითმუნს და ლადოსთან მ-ვა) ლადოკო, ძალიან მიყვარხარ, ძალიან!
- ლადო.** (დარცხენით დაღუნავს თავს) კარგი, კარგი!
- კატო.** (კუთხიდან გამოვა და ხმა-მადლა იტყვის) მეც მიყვარხარ, მეც (ი'ვუ დაიმალვა).

(ყველა იცინის).

- ნინო.** კარგი და პატიოსანი, შერიგდნენ. (მიმართავს გიგას) ახლა, გიგა, ერთი რამე უნდა გახარო: ლადოს პაპა შემოდგომიდან გიმნაზიაში მიგაბარებს.
- გიგა.** აჰ, დედილო! (დედისკენ გადასდგამს ნაბიჯს).
- მარიამი.** ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვარ! ღმერთო, შენ შეეწიე ჩვენ დამხმარეს (ხიზჯვარს იწერს).
- კატო.** (კიდევ გამოდის კუთხიდან) მეც ინაზიაში უნდა შევიღე (სურათი სიცილი).
- ლადო.** შენ კიდევ საშობაოდ დედოფალას გაჩუქებ (აღურსით უნქურის კატოს, რომელსაც შერცხება და იმალვა).

(კარებს აკაკუნებენ, შემოდის კოკა).

გამოსვლა მესამე.

გოგი. ბიკოს! აქ მთელი კრება ყოფილა. გამაჯობათ, მარიამ, დედამ გამომგზავნა, რომ თქვენი ამბავი გამეგო.

მარიამი. გმადლობთ, ჩემო ბატონო! მადლობა მოახსენეთ აგრეთვე დედა თქვენსაც. ვადაეცი, რომ ახლა ცოტა უკეთა ვარ.

ლადო. (წენარად) გოგი!

გოგი. (მობრუნდება და დაექერდება ლადოს, გამოსდებს ხელს და მიდიან გიგასთან, რომელსაც მხარზე ხელს დაჰკრავს; შემდეგ შეუღავს ლადოს და წენარადე კრუვის) მაშ, მოიფიქრე ლადო, არა? დაუბრუნდი სწორ გზას?

ლადო. (კლამება, თავს ღუნავს).

გოგი. ვხედავ, ვხედავ! ყოჩაღ! (მოსვეს კრას ხელს გიგას, მუიარეს—ლადოს და დადგება ავანსცენისაკენ ნახევრად მიბრუნებული). ახლა-კი, ჩემო მეგობრებო, წავიდეთ და ჩემი ახალი ნავი გავსინჯოთ; ძალიან მინდა გავიგო, ივარგებს თუ არა. ჩემი მასწავლებელი წავგიყვანს. ნინოსა და თინას-კი ვსთხოვოთ, რომ ჩვენ მოსვლამდე ავადმყოფთან დარჩნენ. ახლავე მოვალთ.

გიგა. (მორადებით) შეიძლება, დედი?

მარიამი. წადი, შეილო, წადი. მე ისე გავმხიარულდი, რომ ტკივილები სრულებით აღარ მახსოვს. რა საჭიროა ნინოს და თინას შეწუხება? წამოვიდნენ ისინიც სასეირნოდ; როგორ უნდა გასძლონ ამ შეხუთულ ჰაერში? მე ახლავე ავდგები და კატოსაც ვაქწევ. შენ გეჭამა, შეილო, რამე. კეთილი ბატონები ცოტას დაგიცდიან.



- ლადო. თქვენ ნუ დარდობთ: გიგა ჩვენსა სკამს ყველაფერსი
 მ.რიამ. თქვენი ნებაა!
- ლადო. (აღურსათ გიგას) წავიდეთ, გიგა.
- გიგა. წავიდეთ, წავიდეთ!
- გოგი. (უძქარას. ღაღას, მიუახლოვდება და მკობრულად ეუბნება). აი რას ნიშნავს კარგად მოთქრება, გულის სიწმინდით მოქცევა.

(ფარდა.)

8. ლ.





ლაქვარდ კეკელას გედნიერება.

(თარგმანი)



ებერი, დაღვრემილი ხარაბუხა ბალახებში სეირნობის დროს თავს წააწყდა პეპელებს, რომლებიც ის-ის იყო პარკებიდან გამო-მჭვრალიყვნენ.

ორნი იყვნენ, ფოთოლზე დასკუპებულიყვნენ, ფრთხილად ისწორებდნენ დაქმუკვნილ ფრთებს და აქეთ-იქით იცქირებოდნენ. ერთს შავი ფრთები ჰქონდა, ყურყუმა, შავი, საუცხოვო ოქროს ფერ ზოლებით დასერილი, მეორეს კი—აღის ფერ წინწყლებიანი.

რამდენსამე ხანს ხარაბუხა მრისხანედ უცქეროდა თავისი შავი თვალებით, შემდეგ უცებ გაშალა ფრთები და ბზულით გაფრინდა მათკენ.

— ხომ არ იცი, დაიკო, ვინ არის ეს საზარელი შავი მახინჯი?—წასჩურჩულა ერთმა პეპელამ მეორეს.

პეპელამ შეხედა ხარაბუხას და ისეთი შეეშინდა იმის შავი თვალების, რომ ენაც ველარ დასძრა პასუხის სათქმელად.

ხარაბუხა-კი უფრო და უფრო უახლოვდებოდა. პეპელემა კანკალა დაიწყეს, შიშისაგან ერთმანეთს მიეკვრნენ და დამფრთხალ თვალებით მიაშტერდნენ საზარელსა და ბზულია მახინჯს. ხარაბუხა ცხვირ-წინ დაუჯდა და მრისხანედ ათვალიერებდა ამ ორ მზეთ-უნახავს.

— რა გინდა ჩვენგან? ასე საზარლად რად ხმობდები და რად გინდა, ასეთი მაგარი, ეკლიანი თათები რომ გეხვეს? — შით შეეკითხნენ პეპელები.

— რა უნდა მინდოდეს? მე ხარაბუხა ვარ და იმიტომ ვბზუი. სწორედ იმიტომ არის, რომ ასეთი საუცხოვო მაგარი კანი და ეკლიანი თითები მაქვს... ხარაბუხა ვარ, გაიგეთ? — და ისე საშინლად ააცმაკუნა უღვაშები, რომ პეპელებს სულის თქმაც შეუჩერდათ.

— ძალიან გვიხარიათ, ბატონო ხარაბუხავ, რომ გავიცანით, — ნელის ხმით დაიწყო ოქროს ფერმა პეპელამ: — ნუ გაგვიწყობით, თუ ღმერთი გწამდეთ, ნუ გაგვიწყობით, რომ ვერ გიცანით! ჩვენ პირველად ვხედავთ ხარაბუხას! ჩვენ პეპელები გახლავართ. აი, აქ ვზივართ, ფრთების გასწორებას ველოდებით და შემდეგ გაეფრინდებით აქედან... თითქმის გავისწორდა კიდევ ფრთები...

— ნუ იტყვი, პეპელები ხართ? ეგ მე ძალიან კარგად ვიცოდი! განა შეიძლება ხარაბუხამ არ იცოდეს ეგა? საკვირველი იქნებოდა! მე სხვაც ბევრი რამ ვიცი, რადგან დიდი ხანია ქვეყნად ვცხოვრობ, ბევრი რამ მინახავს და ძალიან ჰკვიანის სახელიცა მაქვს!

— დიდაც, რომ ძალიან ჰკვიანი იქნებით! — სხაპა-სხუპით უთხრა წინწყლებიანმა პეპელამ. — აბა, ჩვენ-კი არ გგვეხართ!..

— დიალ, სრულიად არ გგვეარ თქვენ და ძალიანაც მომწონს მით თავი. განა შეიძლება ბედნიერი იყო, როცა ზურგზე ობობას ქსელისებური ჩრები გეფარფარება? მერე რა სუსტი ფეხები გაქვთ და რა ცოტა ხანს სცხოვრობთ, რომ იცოდეთ! რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ხარაბუხად გავჩნდი და არა პეპელად.

— როგორ თუ ცოტა ხანს ვცხოვრობთ? — წამოიძახეს შემინებულმა პეპელებმა და საშინლად აკანკალდნენ.

— დიალ, დიალ! თქვენ ხომ არაფერი იცით, მე-კი ყველაფერი, ყველაფერი ვიცი! ძალიან დიდხანს ვცხოვრობ, სუ-

ლელო ჰეპელეზო! რამდენსამე დღის შემდეგ თქვენს ხსენებას ბაკ-კი აღარ იქნება... ახლა-კი გასწით აქედან! მინდა მარტო დავრჩე, არაფერ არ მჭირია, ვიცხოვრებ დიდხანს და ბედნიერი ვიქნები!

— ჰეპელეები ფიცხლავ აფრინდნენ და მახლობელ ყვავილებს მიაშურეს.. იქ მზე უხეად ანათებდა და სუნნელოვანი ნიაფი ჰქროდა. ერთ ყვავილიდან მეორეზე დაფრინავდნენ, ბანაობდნენ მზის სხივებში, ტკბილ ნამსაც წუწნიდნენ, მაგრამ მზიარულება არსად იყო.

— დაიკო, გაიგონე? — ეკითხებოდა წითელი ჰეპელა თავის ამხანაგს. ხარაბუზამ თქვა, ცოტა ხანს იცხოვრებთო... იმან ხომ ყველაფერი იცის, ყველაფერი ესმის!

— ჰო, მეც უგუნებოდა ვარ, — უპასუხა ამხანაგმა: — ფრენის დროს სულ მაგასა ვფიქრობ.

ჰეპელეები წყნარად დაეშვნენ ყვავილზე და ნაღელიან ფიქრებს მიეცნენ.

მეორე დღეს ძალიან ცოტა ხანი იფრინეს, მესამეს — კიდევ ნაკლები და ბოლოს მთელი ნახევარი დღე ალის ფერ ვარდის გულში გაატარეს.

— ოჰ! რა დროს მზიარულებაა! ხარაბუზამ სთქვა, ცოტა ხნის სიცოცხლე გაქვთო!

საკოდავი ჰეპელეები თან-და-თან სუსტდებოდნენ და ერთხელ ფუტკარმა იპოვა მკვდარი ჰეპელა ალისფერ ვარდის გულში.

იქვე ახლო ხარაბუზაც მოხვდა. იმანაც დალუნა თავისი შავი, ბრჭყვიალა თავი, დააქკერდა ძველ ნაცნობებს და გაჯავრებით წამოიძახა:

— მომკვდარან! რა თქმა უნდა, მართალი ვარ! განა ღირს უსუსურ ჰეპელად ყოფნა!

ამას შემდეგ ხარაბუზა ყველგან დაეძებდა ახალგაზდა ჰეპელებს და ეუბნებოდა:



— ტყუილად არ იფიქროთ, რომ ბედნიერად დასრულდა სადაური ბედნიერებაა—რამდენსამე დღის სიკაცხლე. სულ სხვა ვარ მე, ყოჩაღი, ძალღონით სავსე! მე შემოძლიან დიდხანს და ბედნიერად ვიცხოვრო!

ამ სიტყვების გამგონე პეპელები ჰკარგავდნენ მზიარულე-ბას, სუსტდებოდნენ და უდროოდ ესალმებოდნენ წუთი სოფელს.

ხარაბუზა-კი უცქეროდა მკვდარ, მშვენიერ პეპელებს და ამბობდა:

— ხომ ჰხედავთ! მე მართალი ვარ, ყოველთვის მართალი ვარ! მხოლოდ ჩემისთანა მაგარი კანის პატრონს შეუძლიან ბედნიერი იყოს, სხვას არავის!

II.

არ გასულა ამას შემდეგ დიდი ხანი, რომ ხარაბუზამ დაინახა ერთხელ, თუ როგორ გამოძერა პარკიდან მშვენიერ ცისფერი პეპელა, რომელსაც საუცხოვო ლამაზი ფრთები სხვა და-სხვა ზოლებით ჰქონდა მოჭრელებული. მარდად გაჩნდა ნორჩ პეპელას გვერდით და დაიწყო თავისებურად ბაასი.

— აბა, დაუგდე ყური, ლაყვარლო მზეთუნახავო, რა ვითხრას ჰკვიანმა ხარაბუზამ. შენი სიკაცხლე ძალიან ხანმოკლეა და ბედნიერებას ვერ იგემებ!.. მე-კი სულ სხვა ვარ!

მაგრამ აქ პეპელამ უცებ გააწყვეტინა ყბედს ბაასი.

— მე შენი არაფერი მჯერა, ხარაბუზავ! მე მაინც მწამს, რომ ბედნიერებას მოვიპოვებ! მე მჯერა, რომ ქვეყანაზე ისეთებიც არიან, რომლებიც ჩემზე ნაკლებსაც სიკაცხლობენ და მაინც ბედნიერებას პოულობენ.

— მაშ, არა გჯერა ჩემი?—წყრომით დაიბზულია ხარაბუზამ... ერთი უყურეთ ამას,—უყურეთ ერთი! შენ არ იცი, რამდენი შენისთანა პეპელები დაიხოცნენ ჩემ თვალწინ რამ-

დენსამე დღის შემდეგ ქვეყნად გაჩენისა. იმათსავით დაეცა
რთება, იცოდე!

— მერე რა? მე მაინც მწამს, რომ ბედნიერი ვიქნები.

— არასოდეს! გესმის, — არასოდეს, მეტქი! ბედნიერი მარტო მე ვარ, ქვეიანი ხარაბუხა, იმიტომ, რომ ჩემი ტანი მაგარ ბრკვეილა კანით არის დაფარული. მე არ მეშინიან წვიმისა და ქარისა; მე ვერას მავნებს, ფოთლები რომ წამეკვრის, ან ეკალი მომხვდება!

მაგრამ პეპელა ყურსაც აღარ უგდებდა ხარაბუხას. მარტოდ აღქნევდა თავის ლავეარდ ფრთებს და მიფრინავდა შორს, შორს, რომ აღარ გაეგონა ბაქია ხარაბუხას ყბედობა.

რა მშვენიერად ანათებდა მზე! რა მშვენიერი სუნი უდიოდდა ვარდს და შროშანს! რა ტკბილის ნამით იყო დაცვარული ყვავილები! ბოროტი ხარაბუხა-კი ამბობდა, ბედნიერი ვერ იქნებო. სულელი, სულელი ბებერი ხარაბუხა! განა ბედნიერება არ არის — იჯდე შროშანის ნაზ ფარფალოზე და ქანაობდე, მზის სხივებით გამთბარი? მერე? უთუოდ ისიც ტყუილია, ვითომ ჩემზე ნაკლებს არავენ ცოცხლობდეს: ტყუილია! ეს შეუძლებელია!

ამ სიტყვებით მზეთუნახავმა დახარა თავისი ლამაზი თავი, დაეკონა შროშანას ბრწყინვალე ყვავილს და ჩუმიად ჰკითხა:

— მითხარი, მშვენიერო შროშანო, დიდხანს ცხოვრობ ქვეყანაზე?

— ოჰ, დიდხანს, დიდხანს, ჩემო კარგო, — აღერსიანად მიუგო შროშანმა და შეარხია თავისი სუნნელოვანი თასფოთოლა. დიდი ხანია, რაც ავყვავილდი; სანამ თბილა, ყვავილში ვიქნები, მერე ერთი თასფოთოლა ჩაიღარება, მეორე გაიშლება, შემდეგ კიდევ მესამე...

— მართლა? — ჩაიჩურჩულა ცისფერმა პეპელამ და გაუდგა გზას.

მეორე დღეს პეპელა შეხვდა გინგლიან ფუტკარს ვეებერთელა ყაყაჩოს ყვავილის გულში და იმასაც დაეკითხა:



— მითხარი, ბუმბულიანო ფუტკარო, დიდხანს სცოცხლობს ქვეყანაზე, დიდხანს აგროვებს თაფლს ყვავილებზე?

— დიად, ჩემო მზეთუნახავო, ძალიან დიდხანს ვცოცხლობ.

— სიცივე რომ დადგება, მაშინ ხომ მოკვდები?

— არა, მაშინაც არ ვკვდები. ჩვენ ზამთრობით მუდამ თბილ სადგომში ვცხოვრობთ. სადგომებს ადამიანები გვიშენებენ.

— ეგ არ ვიცოდი, ძვირფასო ფუტკარო! საშინლად მინდა ვიცოდე, ცხოვრობს ვინმე ჩემზე ნაკლებს დედამიწაზე, თუ არა?

— მიიარ-მოიარე, ყველა მწერს შეეკითხე; ქვეყანა ფართეა: უთუოდ იქნება ვინმე ქვეყნად, რომ შენზე ნაკლებს სცოცხლობს, — სთქვა ფუტკარმა და ზუზუნით გასწია თავის გზაზე.

ამის შემდეგ ცისფერი პეპელა დაეკითხა ჰინჰელას, კრახანას, ლოკოკინას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა ესენი ძალიან დიდხანს თურმე სცოცხლობენ.

— მგონი ხარაბუხამ მართალი მითხრა, — ჰფიქრობდა ხანდა-ხან საწყალი პეპელა: მგონი მართლაც ყველაზე ადრე მოკვდები.

ერთხელ მზიარულ ნაკადულსაც-კი დაეკითხა და ანკარა წყალს სიამოვნებით ჩააშტერდა.

— მითხარი, ანკარა ნაკადულო, დიდხანს სცხოვრობს ქვეყანაზე?

წყარომ ერთბაშად ვერ უპასუხა პეპელას, ცოტა ჩაფიქრდა, გაჩუბჩუბდა თავის უღვეველ გზაზე და შესძახა:

— ოჰ, სადა მაქვს შენტან ლაპარაკის დრო! დიდი ხანია ვცოცხლობ, დიდი ხანია ვჩუბჩუბებ, დიდი ხანია დავრბი!..

— მერე, მალე არ მოკვდები? — ფრთხილად შეეკითხა პეპელა ნაკადულს.

— ეგ სწორედ სასაცილო კითხვაა, ძალიან სასაცილო! ჩვენ ხომ არასოდეს არ ვკვდებით! მე მიერბივარ პატარა მდინარისკენ, შეურთავ ჩემ ანკარა წყალს იმისას, მერე ერთად გავეშურებით და სხვა მდინარეებს შეუერთდებით, დიდ მდინარედ ვიქცევით და მერე ზღვაში ჩავალთ, დიდ ზღვაში... მართალია, სიცხისაგან ცოტათი ვშრები...

— ბედნიერი ნაკადული!..—ამოიოხრა ჰეპელამ, მაგრამ მაშინვე მზიარულად ფრთები გაიქნია და გაფრინდა... არა უშავს რა, მეც ხომ კარგად ვცხოვრობ, შზე მეც მათბობს, ნამი მკვებავს; ფოთლები მიფარავენ წვიმისაგან, ყვავილები მინახავენ თავიანთ ღეროებზე. ნეტაეი სად არის ახლა ჩემი მრისხანე ხარაბუხა? რომ ვნახავდე, ვეტყოდი, რა მზიარულადა ვარ, თუმცა ყველაზე ნაკლებს-კი ვცოცხლობ ჭვეყნად.

III

ამ დროს რალაცა შრიალი შემოესმა ჰეპელას, შეცოცდა იქვე ბალახებში და მიიხედ-მოიხედა.—ვნახოთ, ნაცნობი ხარაბუხა-კი გდია ბალახებში პირ-აღმა, ფეხები დაჩეჩქვილი აქვს და ძლივს-ლა სუნთქავს.

— რა დაგემართა, საბრალო ამხანაგო?—ჩაეკითხა აღელვებული ჰეპელა: რატომ ასე ოხრავ, რა დაგემართა?

• — აქ ბავშვმა გაირბინა... უცბად ფეხი დამადგა... გაფრენა ვერ მოვასწარი... ვერ მოვასწარი... ჩემი მძიმე ფრთები გაშალა და გამჰყლიტა კიდევ!.. იჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ შენისთანა თხელი ფრთები მქონოდა!.. ახლა-კი მალე მოვკვდები!..

— როგორ, შენ ჩემზე ადრე მოკვდები? საბრალო ხარაბუხავ, რა რიგად მეცოდები! რა დიდხანს ვეძებდი ისეთ სულიერს, რომელიც ჩემზე ნაკლებს ცოცხლობდეს, და შენ-კი ყოფილხარ ასეთი. საწყალი, საწყალი ხარაბუხა!—აღელვებუ-

ლი პეპელა მიუახლოვდა მომაკვდავ ხარაბუხას.—ვიქნებო შენ...
თან და გაგავრილებ ნიავეთ, საბრალოვ! იქნება მარტო...
დეც...—მიუჯდა ავადმყოფს და დაიწყო თავის ცისფერ ფრთე-
ბის ნახად რხევა, რომ ავადმყოფის ახლო პაერი გავეგრილე-
ბინა.

— რა კარგია, — წაიჩურჩულა ავადმყოფმა ხარაბუხამ: —
რა ნახი ნიავეი გააჩინეს შენმა თხელმა ფრთებმა! სამწუხაროდ,
კარგად ვეღარ ვხედავ, თვალები მტვრითა მაქვს საესე.

— თვალს ამოგიწმენდ ფეხებით: — აღერსიანად უთხრა
პეპელამ და დიდის სიფრთხილით შეუდგა საქმეს.

— რა მშვენიერი, მსუბუქი ფეხები გაქვს! — ეუბნებოდა
ხარაბუხა და თან-და-თან უკეთ ახელდა თავის შავ თვალებს,
რომლებიც ახლა ნალელიანად და აღერსიანად გამოიყურე-
ბოდა.

— ახლა ცოტა მომწყურდა: წყალს რომ დავეღვდე,
სრულიად მოვიკეთებდი.

— ახლავე მოგიტან ნამის წვეთს, — უთხრა პეპელამ და
სწრაფად გაფრინდა.

— რა მარდად დაფრინავს, რა აღერსიანად მეპყრობა, —
ფიქრობდა ამ დროს ხარაბუხა.

აი, მოფრინდა, ჩაუწვეთა ავადმყოფს პირში ტკბილი, ან-
კარა ნამის წვეთი.

— გმადლობ, კეთილო პეპელავ, გმადლობ! გმადლობ,
აღერსიანო მზეთუნახავო! ახლა დამშვიდებით მოვეცდები!
მხოლოდ ვწუხვარ, რომ წინად გაწყენინე!

— ნუ დარდობ მაგას, საბრალო მეგობარო! ბევრს და-
ვფრინავდი ყვავილებზე, ვთბებოდი მზის სხივებით და ძალიან
მხიარულადაც ვატარებდი დროს. ახლა-კი შენთან ვზივარ და
დავმეგობრდით კიდევ. კიდევ მოგინიავო ფრთებით? აი, ასე,
კარგია?..

მაგრამ ხარაბუხას აღარა ესმოდა-რა. საცოდავმა წყნა-
რად განუტევა სული ნახის ნიავეთ დამშვიდებულმა. პეპელა-

კი ამას ვერ ამჩნევდა, განაგრძობდა ლაევარდ ფრთებში ცხენის
ვას და თანაც ტყბილად ჩურჩულებდა:

— ნუ დარდობ, საბრალო ხარაბუხავ, ისე ბედნიერი ვარ
მით, რომ გშველი! შესაძლებელია დიდხანს ვერ ვიცოცხ-
ლო, მაგრამ დღეს ეგ დარდად აღარა მაქვს.— ისე კარგად
ვგრძნობ ამ წუთში თავს, ისე ბედნიერი ვარ, რომ გაჭირვე-
ბულს ვანუგეშებ, ცოტათი მაინც უმსუბუქებ ტანჯვას.

ამასობაში იმისი ფრთები თან-და-თან დასუსტდა, პატარა
ფეხები დაეღალა და მზის ამოსვლისას ლამაზი ლაევარდოვანი
პეპელა ეგდო მკედარი შავ ხარაბუხას გვერდით.

უკანასკნელ წუთშიაც ძლივს ჩურჩულებდა:

— შე დღეს ისე ბედნიერი ვარ! ისე ბედნიერი ვარ!





ქალქსანდრე სერბეის-ჰე კუზკინი.

(სიკვდილის შემდეგ 75 წლის შესრულების გამო).



ოცა აკაკის მშვენიერ და კეთილ-ხმოვან
 ლექსებს კითხულობთ და მასთან ერთად
 ხან სიხარულით იესებით, ხან სწუხართ,
 ხან იცინით და ხან კვნესით, ხან ალტაცე-
 ბაში მოდიხართ, — ხან უნუგეშობის სევდა მოგიცავთ, მაშინ
 შეუძლებელია არ აღივსოთ სიყვარულით და პატივის-ცემით
 იმ ადამიანისადმი, რომლის გენიასაც შეუძლია, თავის ნებაზე,
 ხან გაკინოს და ხან გატიროს, — შეუძლია გაგიმსკვალოს სული
 და გული სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომის სურვილით,

მისი მწუხარებით—გული შეგიწუხოს, ბუნების სილამაქის
აღწერით—ავაფროთოვანოს და გახაროს და სამშობლოს
თა გმირობით გაამაყოს და გაგამხნეოს.

დიდია ასეთი ადამიანი, დიდია მისი საშახტური არა მარ-
ტო სამშობლო ერის, არამედ მთელ კაცობრიობის წინაშე.
ასეთი მწერალი გამომახატველია ადამიანთა სულის სიტუაქიზისა
და სიმართლის უშიშარი ქურუშია. ერიც გრძნობს ამგვარ
ადამიანთა სიდიადეს, ამაყობს თავის მწერლებით და თავს ევ-
ლება იმით. ყოველ ერს თავისი აკაკი ჰყავს.—ჰყავს თავისი
აკაკი რუსებსაც, და მისი სახელი პუშკინია.

75 წლის წინად მოკლეს დუელში ალექსანდრე პუშკინი.
75 წელიწადი დიდი დროა. პუშკინის დროის ბევრი მწერალი
ხალხმა უკვე დაივიწყა. დაივიწყებულია აგრედვე ბევრი მწერა-
ლი და მოღვაწე, რომელნიც პუშკინის შემდეგ სცხოვრობდნენ
და მოღვაწეობდნენ; პუშკინის ხსოვნა-კი არა თუ არ კვდება,
არამედ დღითი-დღე იზრდება და ძლიერდება. იზრდება და
ძლიერდება ინტერესი მისი თხზულებისადმი.

ა. ს. პუშკინი დაიბადა 1799 წელს. ჩამომავლობით მა-
მა მისი წარჩინებულსა, მაგრამ უკვე გაღარიბებულ აზნაურთა
გვარს ეკუთვნოდა. 12 წლამდის პოეტის სახლში იზრდებოდა.
1811 წელს ის ცარსკოე-სელოს ლიცეიში მიიბარეს. ლიცეი
დაამთავრა 1817 წელს და შევიდა სამსახურში. მაგრამ მისმა
ლექსებმა და ზოგიერთ წარჩინებულ მოხელეების შესახებ და-
წერილმა ეპიგრამებმა უმაღლეს წრეში უკმაყოფილება გამოი-
წვიეს და ეს იყო მიზეზი, რომ ა. პუშკინი გადასახლებულ იქ-
მნა ჯერ კიშინიევში, მერე ოდესაში და ბოლოს თავის მა-
ბულში—სოფელ მიხაილოვსკოეში. 1825 წელს ხელმწიფემ
აბატია პუშკინს და როდესაც პეტერბურგში დაბრუნდა-კამერ-
იუნკერის ხარისხი მიანიჭა. 1837 წელს პუშკინსა და ჰოლან-
დიის ელჩის შვილის ბარონ-გეკერნ-დანტესის შორის უთან-
ხმოება მოხდა. პუშკინმა დანტესი დუელში გამოიწვია. 29
იანვარს, 1837 წელს, მოხდა დუელი და დიდებული მგოსანი
მოკლულ იქმნა.

სწორედ 29 იანვარს 1912 წ. შესრულდა 75 წელიწადი მას აქეთ, და აი ახლაც, 75 წლის შემდეგ, მთელმა რუსეთმა და არა მარტო რუსეთი, არამედ სხვა ქვეყნებშიც მწუხარებით იგონებენ მისი სიკდილის დღეს. ყველას ახსოვს რა დაუტოვა მან სამშობლო ერს, რა დაუტოვა ქვეყანას. სამახსოვრო-კი ბევრია: ბევრი რამ გააკეთა დიდებულმა მწერალმა, ბევრი სიკეთე შესძინა სამშობლო მხარეს და მისგან დათესილმა თესლმა კეთილი მოსავალი მოიტანა.

მწერლები რუსეთში პუშკინამდისაც იყვნენ, მაგრამ მაშინ-დელი ლიტერატურა რუსული არ იყო. როგორც ყოველ ადამიანს, ისე ყოველ ერს თავისი დამახასიათებელი თვისებები აქვს. ყოველ ადამიანს ახასიათებს საკუთარი სახე, თავისებური აზროვნება, გრძნობანი და სურვილები. აი მაგალ. ზოგ თქვენგანს, მკითხველებო, ვადვილება ამოცანების შეთხზვა; ზოგს - ხატვა და ზოგსაც უყვარს და ვადვილება თხზულებათა წერა და ზღაპრების მოსმენა. ასევე ყოველ ერს ახასიათებს საკუთარი სახე, საკუთარი აზროვნება, ჩვეულებანი და ლიტერატურა. ლიტერატურა გამოხატავს ერის თავისებურ აზროვნებას და გულის ნადებს. ლიტერატურაში გამოყვანილია ხალხის იდეალები და მისწრაფებანი; ამიტომ ის შეიძლება ერის ერთ უმთავრეს დამახასიათებელ მოვლენად ჩაითვალოს.

ყოველი ადამიანი ვალდებულია სიცოცხლის მიზნად ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობა დაისახოს და მის საკეთილდღეოდ იღვაწოს; გზა და საშვალეობა-კი ყველას საკუთარი და თავისებური ექნება. ვახსოვდეთ, რომ ის ადამიანი, რომელიც მთლად სხვის აზრს მისდევს და სხვისი ჩვენებით მუშაობს, სამშობლო ერს ვერაფრითარ სარგებლობას ვერ მოუტანს და მისი სიცოცხლე ფუჭად ჩაივლის.

საერთო მიზნისაკენ ისწრაფვის ყოველი ერი და მხოლოდ სხვა-და-სხვა გზა და საშვალეობა აურჩევია. იყო დრო, როცა თქვენ არც სიარული და არც ლაპარაკი არ იყო-

დით და სკდილობლით ყველაფერში უფროსათვის მადევი
 ბაძათ. ყოველი თქვენგანი, რაც უფრო იზრდება, უფრო ნა-
 კლებად ჰბაძავს უფროსებს და ცოტ-ცოტად საკუთარ აზრებს
 იძენს. როდესაც დავაეკადებით—მოლონიერდებით სხეულითა
 და ქკუითაც, მაშინ უკვე საკუთარი მსჯელობის უნარი გქ-
 ნებათ და ერისათვის სასარგებლოდ მუშაობა შეგეძლებათ.
 ყოველი ერი თავის დროზე უმწეო ბავშვს წააგავდა და ყვე-
 ლაფერში უფრო განათლებულ ერებს ბაძავდა: მათგან ითვი-
 სებდა მეცნიერებას, მხატვრობას, პოეზიას და სხვას. როგორც
 ყოველ ბავშვს მხოლოდ მაშინ შეუძლია თავის ერს სარგებ-
 ლობა მოუტანოს, როცა დავაეკადება და საკუთარ აზრებს
 გამოიჩენს, ისე ყოველი ერი მხოლოდ მაშინ შესძლებს ქვეყ-
 ნის სულიერ საღაროში თავისი წვლილის შეტანას, როდეს-
 აც სულით გაიზრდება და მოლონიერდება, შექმნის თავის
 მეცნიერებას, პოეზიას, მხატვრობას და სხვ.

პუშკინაძლის, ლიტერატურის მხრით, რუსეთის ერის უმ-
 წეო ბავშვი იყო და მხოლოდ ლაპარაკს სწავლობდა. რუსთა
 მწერალნი სწერდნენ იმასვე, რასაც სწერდნენ ფრანგები, გერ-
 მანელები და ინგლისელები, და სწერდნენ ისე, როგორც
 ისინი. იმათ დროს ლიტერატურა არც დასავლეთ ევროპაში
 იდგა მაღლა. მაშინდელი მწერლები ფიქრობდნენ, რომ ცხო-
 ვრება, როგორც ცხოვრება, ასაწერად არ ღირსო — და
 ამიტომ იგონებდნენ და ეძებდნენ არა-ჩვეულებრივ შემთხვე-
 ვებს და უბრალო, ცოცხალ ადამიანთა მაგივრად თავის შექ-
 მნილ ზგეკებს აღწერდნენ. ბევრი მათგანი ფიქრობდა, რომ
 ხალხური ენაც ლიტერატურისათვის არ ვარგაო და სწერდნენ
 გაუგებარი მწიგნობრული ენით. მიბაძვა ყოველთვის ორიგინ-
 ალზე ცუდია და რუსული მიბაძვით შექმნილი ლიტერატურა
 ბევრად ჩაშორჩა დასავლეთ-ევროპის ორიგინალებს. რუ-
 სულ ლიტერატურაში გამოყვანილი ადამიანები სინამდვილესა-
 გან კიდევ უფრო შორს იდგნენ. ენა-კი უცნაური და ძნე-
 ლი გასაგები იყო.

ასეთი უსიკოცხლო ნაწერები პოეტური ეგონათ და მწერლებიც ამგვარად მოღვაწეობდნენ პუშკინის ასპარეზზე გამოუსვლად. პუშკინმა პირველმა დაინახა, რომ ხალხური ენა გამოგონილ მწიგნობრულზე ბევრად უფრო მხატვრული, მდიდარი და ლაზათიანია და საჭიროა მხოლოდ მისი გაცნობა. პუშკინმა პირველმა დაიწყო ხალხური ენით წერა და აბა რომელ მწერალს აქვს ისეთი ლამაზი, კეთილ-ხმოვანი და მრავალფეროვანი ლექსები და ან ვინ შეამჩნევს იმის მშვენიერ ლექსებს სიტყვათა ულაზათობას და არა-კეთილ ხმოვანებას. პუშკინმა მწერლებს ხალხური ენით ასწავლა წერა და შეაგნებინა, რომ ერის ცხოვრების შესწავლაც ლიტერატორთა საქმეა. საჭიროა იკოდნენ როგორც კეთილი მხარეები, ისე ნაკლი სამშობლო ერისა.

დიდებული მწერალი ეუბნებოდა ყველას: თქვენ ეძებთ არა-ჩვეულებრივ და უცნაურ შემთხვევებს; თქვენ სწერთ იმ ხალხზე, რომელსაც არასოდეს არ უცხოვრია და მასში მშვენიერებას ჰპოვებთ. დროა თვალი გაახილოთ და დაინახოთ, რომ ნამდვილი სიკოცხლე გამოგონილზე ბევრად ლამაზი და რთულია. დროა ადამიანის სულიერ ცხოვრებას დაუკვირდეთ და გაიგებთ, რომ მასზე ტურფა და საინტერესო რამ შეუძლებელია წარმოიდგინოს ადამიანის გონებაშიაო.

თვითონ პუშკინი, რაზედაც უნდა სწერდეს, ყოველთვის სინამდვილეს უკვირდება. მისი გმირები ცოცხალი ადამიანებია და არა თავის შესაქცევად გამოგონილი ტიკინები. ყოველი მისი ნაწარმოები გამსჭვალულია ერთი სურვილით: ყველაფერი ქეშმარიტად ასწეროს და ადამიანის სულის ცხოვრება შესწავლოს, მისი მრავალ-ფეროვანობა გვიჩვენოს. მას გამოჰყავს ყოველგვარი ხალხი,—სხვა-და-სხვა საფეხურზე მდგომი, სხვა-და-სხვა საუკუნეთა მცხოვრებნი: აქ არიან მეფეები, ყაჩაღები, შუა საუკუნოების რაინდები და პუშკინის დროის პეტრობურგის „კუდაბზიკები.“ ხშირად მისი გმირები სხვა ერის შვილებია, მაგრამ უფრო ხშირად და უმეტეს შემთხვევაში იგი



რუსეთის ხალხსა და რუსეთის ბუნებას იხსენიებს. ყოველწარმოებში ნათლად გამოსჭვივის, რომ მწერალი ვალდებულია სამშობლო ერის ვითარება შეისწავლოს და მისი ბედის გასაუმჯობესებლად იშრომოს. თუ ხალხი სწუხს, მწერალმა მისი მწუხარების მიზეზი უნდა გაიგოს და უბედობის თავიდან ასაცილებელი საშვალეობა გამოუძებნოს.

პუშკინი არაა მშვიდი მხატვარი, ცივად ამწერი სინამდვილისა; ის გულმტკივნეულად ეკიდება ადამიანს და იმის უსაშინელეს ავაზაკშიაც კი დაინახავთ სიმპატიურ მხარეს. ის გვეუბნება, რომ ავაზაკის გულშიაც ღვივის ნაპერწკალი ადამიანისადმი სიყვარულისა და ის უფრო შესაბრალისია და არა დასაწყევლიო. პუშკინი ნათლად გვიჩვენებს, რომ ავაზაკად ადამიანს ბედის უკუღმართობა ხდის და არა მისი, ვითომ და გარყვნილი, ბუნება. ის გვეუბნება, რომ ქვეყანა სევდით არის მოცული, სწუხს და წვალობს ტანჯული ერი. კითხულობ პუშკინს, და ხედავ, რომ ადამიანის გული სიკეთით მდიდარია, ჭკუა მძლავრი და შორს გამჭვრეტია და რომ არ არის არაფერი, რის წინაშე შესაძლებელია ადამიანის ბუნება შედრკეს და შეჩერდეს. მისი სიტყვები გულს მალამოდ ხედება, ატოკებს და ამცნობს, რომ მოვა დრო და ადამიანი სძლევს ბოროტებას, ჭირვარამს თავიდან მოიშორებს და კეთილდღეობისაკენ გზას გაიკაფავს.

უყვარდა პუშკინს ადამიანი და უყვარდა ის ბუნებაც, რომელიც გარეშემო ერთკა. წინად, როგორც პოეზიაში, მხატვრობაშიაც მხოლოდ არაჩვეულებრივ უცნაურ ადგილებს ასურათებდნენ: ზღვის მღელვარებას, ვულკანთა ამოხეთქას, საიდუმლო გამოქვაბულებს... პუშკინმა-კი დაგვანახვა, რომ მშვენიერია ყოველი ბუჩქი, უბრალო მცენარე; ის ამბობდა, რომ ბუნებაში ყველაფერი ლამაზია და მისი შემეყურე ადამიანი უნდა სცდილობდეს თავისი სიცოცხლეც ლამაზად მოაწყოს. მანვე პირველად მიაქცია ყურადღება ხალხურ პოე-



ზიას. ხალხურ ზღაპრებსა და ლექსებს ყურადღებას აქცევდა, როგორც ველური ხალხის უღაზათო ქმნილებას. პუშკინს-კი ესმოდა, რომ სწორედ ამ ლექსებში და ზღაპრებში იყო დაცული მრავალი საუკუნის განმავლობაში ხალხური შემოქმედებითი ძალა და მთელი ერის საუნჯეს შეადგენდა. პუშკინი ასწავლიდა ხალხურ აზრისა და პოეზიის პატივისცემას და თანაც არ იფიქვებდა, რომ ისეთივე პატივისღირსია ხალხის ყოველი წევრი, ყოველი ადამიანი. იგი ჰგმობდა ადამიანის თავმოყვარეობის შემლახველ ბატონყმობას და ბატონების უფლებათა გაუქმებას ქადაგებდა.

დიდი სამსახური გაუწია პუშკინმა რუსეთს, დიდი ღვაწლი უძღვნა მას. პატარა მიმოხილვაში შეუძლებელია დავასურათოთ მთელი მისი მრღვაწეობა სამშობლო ერის სასარგებლოდ. მაგრამ სურათის მთლიანობისათვის საჭიროა ერთი მისი ღვაწლი კიდევ მოვიხსენიოთ. პუშკინამდის საზოგადოება პოეზიას უყურებდა, როგორც სასიამოვნოდ დროს გასატყრებელ თავშესაქცევს. მაგრამ, როგორც-კი დაინახეს, როგორ ანათებდა და ასპეტაკებდა ადამიანის სულს პუშკინის სიტყვა, როდესაც დაინახეს, როგორი შეუპოვარი ძალით ქადაგებდა სიკეთეს მისი პოეზია, მაშინ მიხვდნენ, რომ პოეზია დიდი და წმინდა საქმეა და პოეტი—საამაყო ადამიანია. თვითონ პუშკინიც ასწავლიდა, რომ პოეზია თავშესაქცევი არაა, რომ პოეტის მიზანი ხალხის გასწორება და არა შექცევაა. პოეტი თავისი ნიქის ძალით უნდა ამხელდეს ბოროტებას და სიკეთეს ქადაგებდეს. ის პოეტი-კი, რომელიც წმინდა საქმეს ლალატობს და ჯამბაზობას იწყებს, ღირსი არ არის პოეტად იწოდებოდეს. დიდი, დიდი ღვაწლია, მკითხველებო, რომ მან ასწავლა ხალხს პატივი ეცათ პოეზიისათვის.

ეს დიდებული ადამიანი მოკლეს 75 წლის წინად. ის მოკვდა, მაგრამ ცოცხალია მისი მცნება. ყოველ წლივ საზოგადოებაში მისდამი სიყვარული იზრდება. ყოველ წლივ მატულობს რიცხვი მისი ცხოვრებისა და ნაწარმოების შემსწავლელ-


თა. არის ისეთი ადამიანებიც, რომელნიც მთელ თავის სიცოცხლეს მისი ნაწარმოების შესწავლას ანდომებენ, ეძებენ დაუბეჭდავ წერილებს და მის თხზულებებს ჰბაძავენ. პუშკინის სახელი არ მოკვდება არასოდეს, დიდია და კიდევ უფრო გაიზრდება. იმ-ტომ, რომ მთელ თავის ნიქს სიმართლის ქადაგებას ანდომებდა, სკდილობდა ადამიანებში კეთილი სურვილები ჩაენერგა, და მისი ჩანგი ხალხის სიყვარულით გამსჭვალული აღმოჩნდა.

პუშკინმა ბევრი ქვეყნები შემოიარა და სხვათა შორის კავკასიაშიაც იყო. კავკასიის მშვენიერმა ბუნებამ მოხიბლა იგი. მას გულის სიღრმიდან გადმოსკდა მშვენიერი ლექსები: «კავკასიის ზევი,» *) .საქართველოს მთა-გორებზე ეფინება ლაშის ნისლი» **) და სხვა.

წაიკითხეთ ეს მშვენიერი ლექსები და მისი მხატვრული შინაარსი დაგატკობთ. კავკასიონის ქედთა და ტურფა საქართველოს მშვენიერ ველ-მინდორთა შეილება, როცა წაიკითხავთ მის წარმტაც ლექსებს, გაიხსენეთ დიდებული მწერალი, — გაიხსენეთ რას ასწავლიდა ის ხალხს მთელ თავის სიცოცხლეში.


საქიროა გვახსოვდეს ყოველი ერის დიდი ადამიანები, რადგანაც ისინი გვასწავლიან, როგორ უნდა მოეწყოს ნამდვილი ადამიანური ცხოვრება, საქიროა მათი მცნება ყოველთვის გვახსოვდეს ამ წუთი-სოფელში.

ლევო ფონ კრემერი.



*) Обвалъ Кавказа.

**) На холмахъ Грузіи лежить ночная мгла.



შ ა ვ ი ქ ვ ა .

(დასასრული).



ავისი შემაღგენლობით ჭიათურის შავი-ქვის მადნები წარმოადგენს უმთავრესად მეაზბადიან მადანს, პიროლუზიტს და მანგანიტს. აქაურ გასუფთავებულ მადანში ურევია წმინდა ლითონი შავი-ქვა არა ნაკლებ ორმოც-და ათი პროცენტისა და ამასთანავე ამ მადანში ფოსფორის რაოდენობა არ აღემატებათ 0,16—0,17 პროცენტს. შენიშნულია, რომ რამდენადაც ნაკლებია ფოსფორი შავი-ქვის მადანში, იმდენად ეს მადანი კარგი ხარისხისაა. მადანის სიკარგე, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია თვით იმის ბუნებრივ თვისებისაგან და აგრედვე დიდი მნიშვნელობა აქვს კარგადა და სუფთად დამუშავებას.

ჭიათურის მადანის გასაუმჯობესებლად აქაური მრეწველები არაერთარ ხელოვნურ საშვალეებას არ ხმარობენ, გარდა იმისა, რომ ზოგიერთები ქვას რეცხავენ; აცლიან ქვიშას, თიხას და ტალახს. ეს იმიტომ, რომ აქაური მადანი უიმისოდაც შესანიშნავია თავისი მაღალი ბუნებრივი თვისებით. დიდი უმეტესობა აქაურ მრეწველებისა ან სრულებით არ ასუფთავებს მადანს, ან ეს გასუფთავება იმაში გამოიხატება, რომ მუშა ბარით, ან კიდევ ხელით აცლის მიწის ზედა პირზე ამოტანილ შავ-ქვას თიხას და ქვებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია ასე.



თი უბრალო საშვალეებით. მორჩა და გათავდა. შავი-ქვა მზად არის გასაყიდად. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ქიათურის ვი-ქვის წარმოება დაიწყო. ქიათურის შავი-ქვა საქვეყნოდ ცნობილი იყო 1853 წლიდან, მაგრამ დამუშავება აქაური მადანისა დაიწყო 1879 წელს; მას შემდეგ წარმოება თან-და-თან იზრდებოდა და დღეს ქიათურის შავი-ქვის მრეწველობა თავისი სიდიდით პირველთაგანია ამგვარ წარმოებათა შორის მთელ დედამიწაზე.

თუ მივიღებთ მხედველობაში ადგილის მდებარეობას, აქაური მადნის დამუშავება არ არის ძნელი. ყვირილის ხეობაში სადგურ შორაპანიდან, როგორც ზემოთა ვ' თქვით, შავ-ქვიან ადგილებსაკენ გადის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა. ეს გზა ქიათურიდან მიდის ს. საჩხერემდე და მადნიან ადგილებს შუაზე გადასჭრის. დამუშავებულ მადანის ჩამოტანა რკინის გზის გასწვრივ გამართულ ბაქანებზე დიდად გასაჭირი არ არის. ბაქანებზე დაგროვილია აუარებელი მადანი, რომელიც თან-და-თანობით გააქვთ რუსეთში და საზღვარ გარედ. მაღლობზე დაფენილ შავ-ქვიან ადგილებში ძალიან ცოტა წყალია, თანაც მიწაში არსად გამოდის რაიმე მავნე გაზი და ეს გარემოება ძალიან უწყობს ხელს მალაროებში მუშაობას. შავ ქვას მალაროებიდან იღებენ. მალაროების მიმართულება ისეთივეა, როგორც შავი ქვის ფენებისა. გორაკის გვერდზე მიწაში შეჰყავთ გვირაბი, სანამ მადანს არ მიადწევნენ. შემდეგ მუშა წერაქვით ხელში ამტვრევენ შავ-ქვას და მალაროც თან და-თან ღრმადდება და ვრცელდება მიწაში. მალაროში მომტვრეულ მადანს მუშები ეზიდებიან გარედ ხელ-ურ-მებით. დიდ მალაროებში ვაგონეტები შეჰყავთ რელსებზე და მადანს გარედ ეზიდებიან ცხენების შემწეობით. გარედ გამოტანილ მადანს იგივე მუშები ჰყოფენ ხარისხებად და აქუჩებენ ცალ-ცალკე მალაროს წინ. როგორც მალაროებთან, ისე რკინის გზის ბაქანებზედაც შავი-ქვა ჰყრია გადაუხურავი (თითო-ორჯოლია ფირმა გამონაქლისს შეადგენს) და ზედ აწვიმს.

ათოვს. თუმცა ამით მადანი ფუჭდება, მაგრამ შენობის შინც არ აქცევენ.

მუშა ღებულობს შწარმოებელისაგან ქირას, სამუშაო იარაღს და განათებას. როცა სამუშაო იარაღი ჩლონდდება, ან ტყდება, იმისი შესწორება—შეკეთება, ან გამოცვლა შწარმოებელის ხარჯით უნდა მოხდეს. მაღაროს კედლების გასამაგრებელ მასალას: ბოძებს, ფიცრებს და სხვა... ყიდულობს იგივე შწარმოებელი. მაღაროს სიგრძე ზოგჯერ 300—400 საეწენს უდრის. მაგრამ უფრო ხშირად-კი 60—70 საეწენს არ აღემატება. მაღაროში ჰაერი დაბნულია და ადვილად ფუჭდება: ამას ზედ დაუმატეთ საშინელი მტვერი შავი-ქვისა, რომელიც მუშას სულ ერთიან მურავს და თანაც ჰაერთან ერთად სასუნთქავ ორგანოებში ჩაუდის. თქვენ წარმოიდგინეთ, რატანჯვა-წვალებას განიცდის საწყალი მუშა, მაგრამ ლუკმა-პურისათვის კაცი რას არ აიტანს! შავი-ქვის ჩამოზიდვა მაღაროებიდან რკინის გზის ბაქანზე ორ ნაწილად განიყოფება—ჯერ



შავი ქვით დატვირთული ურეში.

მადანი მაღაროდან გარედ, მიწის ზედა პირზე უნდა გამოიტანონ; მერე აქედან უნდა გადაზიდონ რკინის გზის ბაქანზე-

პირველ სამუშაოს თვით მალაროს მუშები ასრულებენ; მერ-
 რეს-კი ჩალვადრები ცხენებით, ან მეურმეები. კურტნიან ცხენს
 გადაჰკიდებენ ორ დაწნულ კალათს შავი ქვით სავსეს. თითო
 ცხენს ჩამოაქვს 8—15 ფუთამდე.

ურმით-კი ჩამოაქვთ 40—70 ფუთამდე და მეტოც. ცხე-
 ნებზე გადასაკიდი კალათები კობტად არის დაწნული და ფო-
 რმით ჩანთას მოგაგონებს. ურმისათვის-კი გრძელი კალათები
 აქვთ დაწნული.

მალარობიდან შავი ქვის ჩამოტანა რკინის გზის ბაქან-
 ზე, შედარებით, ძვირად ჯდება, რადგან საურმე გზები უუ-
 დია. თუმცა გზებს ხშირად აკეთებენ, ასწორებენ, მაგრამ დი-



სასწორზე დატვირთულ ცხენსა სწონავენ. მარჯვნივ სხვა
 ცხენები რიგს უდრიან. მარჯვნივ, კაცების უკან ურემი
 სდგას. სასწორის წინ შავი ქვის ბაქანი იწყება.

დი მოძრაობის გამო გზა მაინც მალე ფუქდება და ოღრო-
 ჩოღროვდება. ბაქანებზე მადნის ჩამოზიდვა ურმით, ან ცხენით
 ახლა ჯდება $\frac{1}{2}$ —3 კაბ. ფუთი. აქ რასაკვირველია, შეხედვე-
 ლობაში ღებულობენ მეურმეები და ჩალვადრები გზის სიაყ-
 კარგეს და მანძილს უდიდესი მანძილი ნ ვერსს არ აღემატე-
 ბა; უფრო ხშირად კი 2—5 ვერსამდისაა. შავი-ქვის ბაქანებთან
 ბევრ ალაგას მოწყობილია სასწორები. ყველა სასწორი ზემო-
 დან გადახურულია. დატვირთული ცხენი, ან ურემი ჯერ სა-




სწორზე შესდგება; იქ ერთბაშად ასწონავენ, შემდეგ გამოღობი კლებენ. ცხენის, ან ურმის სიმძიმეს უტვირთოთ დასაჯარგებენ რამდენი ფუთი ქვა ჩამოუტანია ყოველ ორშაბათობით. გამოსწონავენ როგორც ცხენს თავისი კურტნით და ცარიელ კალათებით, ისე ურემსა, და ამწონავე ჩაიწერს, რომ ბოლოს სწორედ იანგარიშოს რამდენი ფუთი ქვა ჩამოუტანია მომუშავეს მთელი კვირის განმავლობაში.

ყველა შეძლებული მრეწველი სცდილობს ახლა, რომ მალაროებიდან შავი-ქვის ჩამოზიდვა მოაწყოს მექანიკური საშუალებით. ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში რამოდენიმე ალაგას უკვე გამართეს ეგრედ წოდებული მექანიკური ჩამოსაშვები. ასეთი ჩამოსაშვების გამართვა დიდ ხარჯებს იწვევს, მაგრამ სამაგიეროდ ქვის ჩამოზიდვა იმდენად იაფდება, რომ მრეწველს ძლიერ ხელსაყრელად მიაჩნია იმითი სარგებლობა. ჩამოსაშვებით ქვის ზიდვა ჯდება მეთაფ კაპეკამდის, იმ დროს როდესაც მურუმე და ჩალვადარი ფუთზე 2 კაპეკს მაინც ართმევს.

ჩამოსაშვები ორნაირია: მალაროდან ბაქანამდე რელსები დაგებული, რელსები დაღმართზე არის დაშვებული; ორი პატარა, თვლებზე დადგმული რკინის კალათა, გადაბმულია ერთი მეორეზე გრძელი და მაგარი თოკით. როდესაც ერთი კალათა, შავი ქვით სავსე, ქვევით მისრიალებს, მეორე, ცარიელი, ზევით ადის. თითო კალათში ორმოც და ათ ფუთამდის იქნება. ასეთ ჩამოსაშვებს „ბრემსბერგს“ ეძახიან. მაგრამ უფრო საყურადღებოა მეორენაირი ჩამოსაშვები. მალაროდან პირდაპირ რკინის გზის ბაქანამდის, ან იმის ახლოს მოხერხებულ ადგილს გაჭიმულია ჰაერში, ზოგჯერ ძლიერ მაღლა, — მეთულებიდან დაგრეხილი მაგარი თოკი. თოკის დასაქერად მოხერხებულ ალაგებში დასობილია მაღალი ბოძები. თოკი მოხრილია და მთლიან წრეს წარმოადგენს. მექანიკურის საშუალებით ეს წრე შეიძლება დატრიალდეს. თოკზე ჰკიდია რამოდენიმე რკინის კალათა, შეიძლება 10—15 და მეტიც.



როდესაც მავთულის წრე დატრიალდება, თვითვეული კალათა რიგ-რიგობით გაივლის მალაროსთან, იქ ივსება შავი-ქვიშა და ისე თავის რიგზე ჩამოდის ბაქანზე და იცლება. თითო კალათში ჩადის შავი-ქვიშა 30 ფუთამდის. რომ ჩამოსაშვების ტრიალი არ შესწყდეს და რაიმე ხიფათი არ მოხდეს, ბაქანიდან მალაროს მუშებს ტელეფონით ელაპარაკებიან. ასეთი მექანიკური



მექანიკური ჩამოსაშვები ბრეგვადის, წერეთლის და ამხანაგობისა.

ჩამოსაშვები ახლა გამართულია ბრეგვადის, წერეთლის და ამხანაგობის შავი ქვის სარეცხ ქარხანაში. ჩამოტანილი ქვა პირდაპირ გადადის სარეცხ მანქანებში, ირეცხება, სუფთავდება და გროვდება ცალკე. აქედან პატარა ვაგონით ერთი ცხენის შემწეობით გარეცხილი ქვა გამოაქვთ განსაკუთრებულ ადგილს.

რკინის გზის ბაქანზე ჩამოტანილი შავი ქვის რაოდენობა ხან შატულობს, ხან კლებულობს; მაგრამ საერთოდ შეი-

ძღვება ითქვას, რომ დღეში ჩამოაქვთ მალაროებიდან რკინის გზაზე და გროვდება ბაქანზე არა ნაკლებ ას ორმოცდაათასი ფუთისა; საზღვარ გარედ-კი გააქვთ წლის განმავლობაში 30—40 მილიონ ფუთამდე ქიათურის შავი-ქვა საზღვარ გარედ გააქვთ ქალაქ ფოთით და ბათომით, უმთავრესად შემდეგ სახელმწიფოებში: პოლანდიაში, გერმანიაში, ინგლისში, ბელგიაში, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში და სხვა.

1895 წლამდის ქიათურის შავ-ქვას ურმებიღ და ცხენებით ეზიდებოდნენ ამიერ კავკასიის რკინის გზის შემდეგ სადგურებში: გომში, ძირულაში და ყვირილაში. ეს სადგურები ძალიან დაშორებულია შავქვიან ადგილებს და ძვირად ჯდებოდა ქვის გადატანა, ამიტომაც აქაურ მრეწველობას სიკოცხლე და წინსვლა არ ეტყობოდა; გამოკოცხლდა მრეწველობა მას შემდეგ მხოლოდ, როდესაც ზაფხულში 1895 წელს მოსრულებულ იქმნა ვიწრო ლიანდაგიანი ქიათურის რკინის გზა. ამ გზით შავი-ქვა მიდის სადგურ შორაპანს, იქ გადატვირთავენ მთავარ ლიანდაგის ვაგონებში და გზაენიან ფოთში და ხან ბათომშიც.


შავი-ქვის მრეწველობის შესახებ კითხვების გამოსარკვევად და შესამუშავებლად წელიწადში ერთხელ ქალაქ ქუთაისში იკრიბება შორაპანის მაზრის (ქიათურა შორაპანის მაზრაში) შავი-ქვის მრეწველთა კრებულნი, რომელსაც თავმჯდომარეობს კავკასიის სამთო მადნის სამართველოს მიერ დანიშნული პირი. ყველა მრეწველს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა კრებაზე კითხვათა გარჩევაში, მხოლოდ გამამწვეტი ხმა კანონის ძალით ეძლევა იმას, ვინც წელიწადში დაიმუშავებს მალაროებში შავ-ქვას და ბაქანზე ჩამოიტანს არა ნაკლებ 100 ათასი ფუთისა; ან გაიტანს საზღვარ გარედ გასაყიდად წელიწადში არა ნაკლებ 300 ათასი ფუთისა. პირველი მრეწველთა კრება გაიხსნა აპრილში 1896 წელს. კრების საქმეს განაგებს მის მიერ არჩეული ეგრედ წოდებული შავი-ქვის მრეწველთა კრე-

ბის საბჭო. საბჭო შესდგება ხუთი წევრისაგან. საბჭოს ევალე-
ბა სისრულეში მოიყვანოს სიეზდის დადგენილებანი, სენაქის
დადგენილი აქვს და წესად შემოღებული ყოველ წლივ იბა-
დოს ადგილობრივ სამრეწველო მოხონილებათა დასაკმაყო-
ფილებლად $\frac{3}{4}$ კაპეიკი ქიათურიდან გატანილ თითო ფუთ
შავ-ქვავზე. ეს თანხა, დაახლოვებით 300 ათასი მანეთი, გადა-
დის მრეწველთა სიეზდის საბჭოს განკარგულებაში. საბჭოს
მოვალეობას შეადგენს: სამრეწველო რაიონში გზების შეკეთე-
ბა, სკოლების გახსნა, საავადმყოფოს შენახვა, წყალსადენის
მოწყობა და სხვა-და-სხვა.

ქიათურის მიდამოების გარდა შავი-ქვა კავკასიიში ბევრ
აღივას მოიპოვება, მხოლოდ სხვაგან მუშაობა დღემდის არ
სწარმოვებს. შავი-ქვის ნიშნები არის: ქუთაისის გუბერნიაში—
ქუთაისის, სენაკის და რაჭის მაზრებში; თბილისის გუბერნი-
აში—თბილისის, გორის, ახალქალაქის, ახალციხის და ბორჩა-
ლოს მაზრებში; განჯის გუბერნიაში—განჯის და ყაზახის მა-
ზრებში; ბაქოს გუბერნიაში ბაქოს მაზრაში; ერევნის გუბერ-
ნიაში—ალექსანდროპოლის მაზრაში და თერგვის ოლქში.

რუსეთში შავი-ქვის წარმოება არსებობს ეკატერინოსლა-
ვის და ზერსონის გუბერნიებში, მაგრამ იქაური ქვის მადანი
მდარე ხარისხისაა და ქიათურის მადანს ვერ შეედრება. უკხო-
ეთში, საზღვარ გარედ, შავი ქვა მოიპოვება ამერიკაში, ინდო-
ეთში, გერმანიაში და საფრანგეთში.

6. წაწუნავა.



იპოლიტის მეფის მუცუ-ხიტოს გადაცვალება.



იმ რამდენიმე დღის წინად გადაიკვალა იპოლიტის მეფე, ანუ როგორც იქ ეძახიან—მიკაელო, მუცუ-ხიტო. მუცუ-ხიტო დიდი ენერჯის პატრონი და ჰქვიანი მეფე იყო. იმის მეფობაში დიდი ცვლილება მოხდა იპოლიტის იმის მეცადინეობით დამყარდა იპოლიტის კონსტიტუცია, გაფართოვდა იპოლიტის საზღვრები, და-

არსდა უმაღლესი და სხვა მრავალი სასწავლებლები. დაიბადა მუცუ-ხიტო 1852 წ. ახალგაზდა იყო, როცა გამეფდა და მას შემდეგ სიკვდილამდის თავის ქვეყნის საკეთილდღეოდ ზრუნვას მოახმარა მთელი თავისი ძალ-ღონე. ცხოვრობდა ერთობ მარტივად: დილით 6 საათზე დგებოდა, მთელ დღეს მუშაობაში ატარებდა. თავისუფალ დროს სწერდა მოთხრობებსა და ლექსებს, უყვარდა წიგნების კითხვა, ხშირად იწვევდა პროფესორებსა და სწავლულ ხალხს და უსმენდა ლექციებს. მეცნიერების ყოველი დარგი აინტერესებდა და იპყრობდა იმის ყურადღებას. 61 წლისა იყო მიკაელო, როცა გადაიკვალა. ხალხში დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული, ასე რომ ბევრმა თურმე იმის სიკვდილი რომ გაიგო, თავი-კი მოიკლა „ხარაკირი“ *); დასაფლავებას აპირებენ იპოლიტის ძველ სატახტო ქალაქში კოტოში, ამა წლის სექტემბერში.

*1) მუცელი გაიპო ხანჯლით.



გასართობი

შ ა რ ა ლ ა .

გვარია ერთი კაცისა,
 ოთხი ასოსგან შემდგარი,—
 მეცნიერია რუსეთში,
 ძველი დროისა მკვლევარი;
 დედა ჰყავს იმას ქართველი,
 მამა-კი უცხო ტომია,
 რუსეთის მეცნიერებში
 მძლავრია, როგორც ლომია;
 ანი და მანიც ითქმება,—
 სახელად ეს საყოფია;
 მას შემდეგ ერთი სიტყვაა,
 შუაზე გასაყოფია:
 ცხრა თვე გვატარა მალულად,
 არავის დაუნახივართ,
 გადაუხადოთ ნაშრომი—
 ჩვენ თვითყული მზადა ვართ.
 ახლა რომ ვიტყვიტ ერთ სიტყვას,
 ქვაბზე მოვნახავთ ხელადა:



ჰებია ჩემი ხმარობდა
 ძველ დროში იმას შელწადა.

და ბოლოს ერთი ასოა—
 ან ზანის არის თავია.

შარადა გამოსაცნობად
 არე მავრე რიგად ავია:
 ქართველი ქალი, მოღვაწე,
 მოზარდ თაობის აღმზრდელი,
 წარსულ წლებს გადაიცვალი,
 ჩვენ-კი დაგვტოვა თვალ-სველი.

ვანო კიკინაძე.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(ხაღხუაძე, ჩაწერაღია აკადემიის კენაფიას-შიერ).

ფეხში რომ ხელი მომკიდეს, ზღვაში ჩამკიდეს თავითა,
 რა ამომიღეს იქიდან, მოვრწყე გზა სრემლით შავითა.





რ ე ბ უ ს ი.



უ ნაცვალ ე
ი სახელი თ



ვ 100 ნ



ი ყ
ბ ყ

სამხრეთ-აღმოსავლეთი უნივერსიტეტი ქ. თბილისი



რ



უ



“



”

ი მ
ი მ



”

ამ რეზუსს ნაწევები ნახეთ მუდარე კაპიტალზე.

გ
ს


,

,



”

ს



მე-6 კვ-ში მოთავსებულ გამომცემის აღსნა:

ს ა ე რ ი.



1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურბათებულ საეკაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

◆ წელიწადი მერვე ◆

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არ-
ჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილე-
ობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები ღ პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

სახეწრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

◆ დასურბათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-
არაკი ალ. მირიანაშვილისა. ◆

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. ნა-
ხევარ წლით—3 მან., ცალკე-ცალკე მცირე წლოვანთათვის
24 წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან.
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან. და მოზრდილ.
1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო
მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„ნაკადულს“ რედაქცია-
ში, ზებადაშვილის სახ., გოლოვინ. შრ. № 8. Редакция „На-
кадули“, Головинский пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადო-
ბის წიგნის მდარაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში—ისიდორე კვიცი-
რძისთან, თ. მთავრიაშვილთან და მარამ უაუხნიაშვილთან. სამტრედი-
აში—ფანე კლადკოვან. ფოთში—თეოდოლე კახდელკთან. ბათომ-
ში—კ. სოფიო ნაკაშიძისთან და ტროფიმ ინსარაძისთან. დ. ხონ-
ში—ეკატერინე ვასილას ასულ ბახტაძისთან. ოზურგეთში ღ ლან-
ჩხუთში—დეკომანძისთან. თელავში—ვასო შატაშვილთან. ახალ-
ციხეში—კონსტანტინე გვარამაძისთან. ბაქოში—ვასილ ასულკლიან-
თან და ივანე კლადკოვან. გორში—ნინო დომურთან და ქეთევან
ჯავახიშვილთან. სოხუმში—კ. მარამ ანნაძისთან. კიათურა-
ში—ივანე კომკლავთან. განჯაში—ბ. ამბოქაძისთან. ერევან-
ში—კ. ოდიშარაძისთან. ხილნალში—ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსებისძე თუმანიშვილი.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის ძაღაზიაში იუიდება
შემდეგი წიგნები:

- 1) ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა.—ფასი . . 30 კ.
- 2) ტომის თავკადასავალი,—თხზ. მარკ ტვენისა, ფასი. 50 კ.
- 3) რას გვიამბობს ოთახი,—თხზ. ავენარიუსისა, ფასი 20 კ.
- 4) დასურათებული ასაწყობი ანბანი,—ფასი . . 1 მ.—კ.
- 5) სკრუჯი და მარლერ,—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.
- 6) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები მ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი 30 კ.
- 7) ბავშვობა და სიყრმე.—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი 60 კ.
- 8) ორი მხატვარი,—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.
- 9) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.
- 10) ამბ. „ცისკრის“ გამოცემა,—ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი 5 კ.
- 11) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,—ნინო ნაკაშიძისა, ფასი 5 კ.
- 12) ახალგაზრდა მეფის სიზმარ და დევი—ეგოტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაქავარიანისა, ფასი 5 კ.

